



**ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის  
სამსახურის სავალდებულო ანგარიშგების საჯაროობა როგორც ახალი  
ქართული მონაცემთა ბაზის შექმნის წინაპირობა**

**გიორგი მეტრეველი, მარია კოპალიანი**

ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვია ბერიძე, ასოცირებული პროფესორი

**ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2019**

## განაცხადი

*„როგორც ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს, ხოლო სხვა ავტორების მიერ შექმნილი მასალები არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“*

გიორგი მეტრეველი \_\_\_\_\_ (05.06.2019)

მარიკა კოპალიანი \_\_\_\_\_ (05.06.2019)

## აბსტრაქტი

*შესავალი და მიზანი:* საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა (Doingbusiness, 2019), რომელიც მუდმივად ცდილობს გაატაროს ეკონომიკური რეფორმები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიმზიდველს გახდის. შესაბამისად, გატარებული რეფორმების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების სავალდებულო გამოყენება, რომელიც კანონის მიხედვით ევალებათ პირველ და მეორე კატეგორიის კომპანიებს, საზოგადოებისთვის დაინტერესებულ პირებს.

განვითარებადი ეკონომიკა ყოველთვის მგრძობიარეა რეფორმებისა და კანონებისადმი. ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ გამჭვირვალობის ზრდა, ანუ საჯარო ფინანსური ანგარიშგებები კომპანიებისათვის დამატებით ხარჯს წარმოადგენს. შესაბამისად, რელევანტურია მიმოვიხილოთ თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ქვეყნის ეკონომიკამ და ბიზნესმა განეული ხარჯის სანაცვლოდ.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყვეტით შეგვესწავლა და შეგვეფასებინა მოცემული კანონის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მისი სარგებელი სახელმწიფო სექტორისათვის და ბიზნეს სუბიექტებისთვის.

*კვლევის მეთოდოლოგია:* კანონის მიღებამდე იყო კითხვა, არსებობდა თუ არა საჭიროება ამ კანონპროექტის მიღებისა და რა სარგებელი შეუძლია მან მოუტანოს ბიზნესს და სახელმწიფო სტრუქტურებს, რადგანაც კანონის ამოქმედების შემდეგ, კომპანიებს გაეზარდათ ყოველწლიური ხარჯი, რომელიც მოიცავს აუდიტორის მომსახურების ანაზღაურებას.

ჩვენ შევაფასეთ კანონის მიღების შემდგომი მოვლენები და მიმოვიხილეთ საერთაშორისო პრაქტიკა, ჩვენი ემპირიული ცოდნისა და განსჯის საფუძველზე.

კვლევის მეთოდად შევარჩიეთ ინდუქციური მიდგომა, რადგანაც ვმუშაობდით ახალი საინფორმაციო ფინანსური ბაზის შექმნის შეფასებაზე. შესაბამისად, ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს ერთიანი პორტალიდან შევავროვეთ მონაცემები. გარკვეული სექტორების მიხედვით გამოვიყვანეთ სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც ტურიზმის სექტორის შემთხვევაში შევაფასეთ ბაზრის მდგომარეობა, ხოლო ნავთობის ბაზრის შემთხვევაში, სახელმწიფო სექტორს დავანახეთ შესაძლებლობა, თუ რა სარგებელი შესაძლოა მოუტანოს ფინანსური ანგარიშგებების ერთიანმა ბაზამ მათ.

გამოვიყენეთ მეორადი, სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც დამონშმებულია საქართველოში სერტიფიცირებული აუდიტორების მიერ.

შერჩევის ბაზა ეფუძნებოდა, ტურიზმის სექტორის შემთხვევაში, საქართველოში მოქმედ მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროებს, ხოლო ნავთობის ბაზრის შემთხვევაში, ბაზარზე მოქმედ ლიდერ კომპანიებს. შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით, გეოგრაფიული მდებარეობების გათვალისწინებით.

*დასკვნა:* კვლევის მიზანი იყო მიმოგვეხილა არსებული პრობლემები, შეგვეფასებინა კანონის ეფექტურობა, დაგვეკავშირებინა და დაგვენახა პირდაპირი კორელაცია კანონის მიღების შემდეგ ეკონომიკასა და მოცემულ რეგულაციას შორის. არსებობს საფუძველი, რომ შეიქმნას ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზა, რომელიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის, კვლევის ფარგლებში შევაფასეთ მონაცემთა ბაზის გამოყენების რამდენიმე მიმართულება, როგორც სახელმწიფო სექტორისთვის, ასევე ბიზნეს სუბიექტებისთვის.

*საკვანძო სიტყვები:* საქართველოს ეკონომიკა, ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზა, კვლევა, მეთოდოლოგია, ინვესტიციების წახალისება, ბიზნეს სექტორი, სახელმწიფო სექტორი.

## **Abstract**

*Introduction and aim:* Georgia is a developing economy country, which is constantly trying to implement economic reforms that will improve the country's economic situation and make it an attractive destination for foreign direct investments for the international community. Consequently, one of the components of the reforms is the use of international financial standards, which are mandatory for the first and second category companies and the public interested entities.

The developing economy is always sensitive to reforms and laws, the fact is that the increase in transparency, is an additional cost for companies, and it is relevant to review the benefits for the country's economic and business entities.

Based on the topic's relevance, we decided to study and evaluate the impact of this law on the Georgian economic and its benefits to the state sector and business entities.

Before the adoption of the law, there was a question If there was a need for the adoption.

We reviewed the events after the law and review international practice, based on empirical knowledge and logical judgment.

*Research and methodology:* The method of research was selected in the inductive approach, as we worked on estimating the creation of a new information financial base, according to new financial database, we collect financial information from tourism and oil markets. In first case we estimate market situation based on companies financial position and relevant financial ratios, on the second case, we disclose the possibility for the state sector taking advantage of these ratios, statistical data.

We used secondary, reliable information certified by auditors of Georgia.

The selection was based on the tourism sector, high and middle class hotels operating in Georgia. In case of oil market, we select leading companies. Selection was made by random basis, taking into consideration geographical locations.

*Conclusion:* The aim of the study is to review existing problems, evaluate the effectiveness of the law, link it and see the direct correlation between the economic growth and adoption of the law. After adoption, there will be created financial database, that will be public and accessible to every interested party. In conclusion, we will evaluate several areas of using database for both, public sector and business entities.

*Key words:* Problems, Georgian economy, financial database, research and methodology, investment growth, business sector, government/state sector

## სარჩევი

განაცხადი .....	I
აბსტრაქტი .....	II
გამოყენებული გრაფიკები .....	VIII
შესავალი .....	1
<i>კანონი</i> .....	2
<i>კონკურენციის პრობლემა</i> .....	7
<i>კაპიტალის ბაზრის შესუსტება</i> .....	7
<i>დაფინანსების პრობლემა</i> .....	11
<i>ორმაგი აღრიცხვა და სავადასახადო ჯარიმები</i> .....	11
<i>თემის აქტუალურობა</i> .....	12
<i>ლიბერალური სავადასახადო პოლიტიკა</i> .....	13
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა .....	13
<i>ბლუმბერგი</i> .....	17
<i>ამადეუსი</i> .....	20
<i>Royalty Range</i> .....	21
მეთოდოლოგია .....	24
კვლევა .....	26
<i>ტურიზმის სექტორის ანალიზი</i> .....	26
<i>საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები</i> .....	32
<i>კონკურენციის სააგენტო</i> .....	36
სირთულეები დაკავშირებული კვლევასთან .....	39
შედეგების ინტერპრეტაცია .....	40
<i>შეფასების მიზანი</i> .....	40
<i>ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისობა</i> .....	40
<i>საერთაშორისო პრაქტიკა</i> .....	41
<i>ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები</i> .....	42
<i>საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება</i> .....	45
<i>პროფესიული კადრების გადამზადება</i> .....	46
<i>ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზა</i> .....	47
კომერციული სტარტაპი .....	48
რეკომენდაციები .....	50
თემის კვლევის გაგრძელება .....	52





## გამოყენებული გრაფიკები

კანონის მიხედვით სანარმოთა კატეგორიზაცია (გრაფიკი #1) (saras.gov.ge)

საწარმოს კატეგორია	აქტივების ღირებულება (ლარი)	შემოსავალი	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა
პირველი	> 50 მილიონი	> 100 მილიონი	>250
მეორე	< 50 მილიონი	<100 მილიონი	<250
მესამე	< 20 მილიონი	<10 მილიონი	<50
მეოთხე	< 10 მილიონი	<2 მილიონი	<10

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2005 – 2017 წლები (სტატისტიკის ეროვნული სამსახური)


(გრაფიკი #2)

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშ დოლარი

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	452.8	88.6	104.8	79.6	179.7
2006	1 171.2	145.2	318.0	332.4	375.5
2007	1 752.6	330.8	366.5	468.9	586.4
2008	1 569.7	539.5	605.4	134.9	290.0
2009	664.2	113.3	177.1	179.0	194.8
2010	845.1	176.1	211.4	236.4	221.2
2011	1 129.9	222.5	270.9	306.8	329.6
2012	1 022.9	295.5	246.8	219.5	261.2
2013	1 020.5	290.3	216.4	265.8	248.0
2014	1 817.7	326.6	209.7	740.5	540.9
2015	1 665.6	335.0	483.0	515.9	331.7
2016	1 565.8	378.8	411.5	491.7	283.7
2017	1 894.5	393.6	355.8	622.8	522.2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება საქართველოში 2018 წელს ქვეყნების მიხედვით (საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 2018) (გრაფიკი #3)



ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აღრიცხვა ქვეყნების მიხედვით საჯარო კომპანიებისთვის (The Relationship between IFRS and development in developing countries; Stujn Vanparys, Prof. Dr. Ignace De Beelde; University of GENT; page 3) (გრაფიკი #4)



**Figure 1: IFRS Required for domestic public companies (IFRS, 2018a)**

საშუალო და მცირე ბიზნესის სტანდარტების გამოყენება დაშვებულია ქვეყნების მიხედვით (The Relationship between IFRS and development in developing countries; Stujn Vanparys, Prof. Dr. Ignace De Beelde; University of GENT, page 4) (გრაფიკი #5)



**Figure 2: IFRS for SMEs required or permitted (IFRS, 2018a)**

ბრენდირებული სახელით მოქმედი სასტუმროები (გრაფიკი #6) (reportal.ge; აუდირებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით)

2017	ლიკვიდობის კოეფიციენტი	სწრაფი ლიკვიდობა	ფინანსური ლევერეიჯი აქტივებთან	ფინანსური ლევერეიჯი კაპიტალთან	უკუგება აქტივებზე	წმინდა საოპერაციო მარჯა	სესხის მომსახურების კოეფიციენტი	ფულადი სახსრები საქმიანობიდან დაფარვამდე/ შემოსავალთან	საოპერაციო პროცენტის
Rixos Borjomi	37%	33%	72%	67%	18%	-4%	(0.10)	29%	
Tourinvest	305%	275%	203%	155%	12%	-10%	(0.20)	59%	
Holiday inn	325%	322%	84%	41%	42%	48%	4.61	52%	

2016	ლიკვიდობის კოეფიციენტი	სწრაფი ლიკვიდობა	ფინანსური ლევერეიჯი აქტივებთან	ფინანსური ლევერეიჯი კაპიტალთან	უკუგება აქტივებზე	წმინდა საოპერაციო მარჯა	სესხის მომსახურების კოეფიციენტი	ფულადი სახსრები საქმიანობიდან დაფარვამდე/ შემოსავალთან	საოპერაციო პროცენტის
Rixos Borjomi	68%	63%	69%	63%	14%	-43%	(0.35)	39%	
Tourinvest	381%	313%	170%	129%	10%	-2%	(0.32)	-78%	
Holiday inn	67%	65%	58%	55%	39%	71%	5.12	51%	

ადგილობრივი სახელით მოქმედი სასტუმროები (reportal.ge; აუდირებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით) (გრაფიკი #6.1)

2017	ლიკვიდობის კოეფიციენტი	სწრაფი ლიკვიდობა	ფინანსური ლევერეიჯი აქტივებთან	ფინანსური ლევერეიჯი კაპიტალთან	უკუგება აქტივებზე	წმინდა საოპერაციო მარჯა	სესხის მომსახურების კოეფიციენტი	ფულადი სახსრები საქმიანობიდან დაფარვამდე/ შემოსავალთან	საოპერაციო პროცენტის
Lopota	38%	26%	36%	35%	21%	31%	1.35	46%	
Dreamland oasis	185%	176%	116%	99%	23%	18%	0.47	-62%	
IOTA	12%	11%	123%	107%	22%	1%	0.17	6%	
Sairme	75%	42%	26%	100%	10%	21%	0.79	38%	

2016	ლიკვიდობის კოეფიციენტი	სწრაფი ლიკვიდობა	ფინანსური ლევერეიჯი აქტივებთან	ფინანსური ლევერეიჯი კაპიტალთან	უკუგება აქტივებზე	წმინდა საოპერაციო მარჯა	სესხის მომსახურების კოეფიციენტი	ფულადი სახსრები საქმიანობიდან დაფარვამდე/ შემოსავალთან	საოპერაციო პროცენტის
Dreamland oasis	78%	72%	119%	132%	20%	24%	0.54	-9%	
Sairme	477%	407%	27%	100%	10%	16%	47.38	24%	

საქართველოს ბაზარზე ოპერირებული ნავთობკომპანიები (reportal.ge; აუდირებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით) (გრაფიკი #7)

2017	შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	თვითღირებულება	საერთო მოგება	საერთო მოგების მარჯა
გალფი	327,710	(280,667)	47,043	14%

ვისოლი	407,977	(349,936)	58,041	14%
სოკარი	574,484	(470,664)	103,820	18%
ლუკოილი	341,034	(314,995)	26,039	8%

2016	შემოსავალი		საერთო მოგება	მოგების მარჟა
	საწვავის რეალიზაციიდან	თვითღირებულება		
გალოფი	252,395	(212,841)	39,554	16%
ვისოლი	340,033	(277,847)	62,186	18%
ლუკოილი	263,368	(237,917)	25,451	10%

რუმინეთის მაგალითი, ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო გამოყენებამდე და მას შემდეგ (Economic benefits of Internation Financial Reporting standards (IFRS) adoption in Romania: Has The cost of equity capital decreased ?; Stere MIHAI, Mihaela IONASCU and Ion IONASCU, Quinn School of Business, University College, Dublin, Ireland; page 204) (გრაფიკი #8)

Table 1. Descriptive statistics.

Descriptive statistic	Earnings per share (RON/share)		Share prices (RON)	
	1999	2006	1999	2006
Mean	0.34	0.13	0.61	2.23
Standard deviation	0.78	0.19	1.07	2.67
Minimum	0.00	0.00	0.01	0.04
Maximum	3.69	0.62	4.96	10.00
Observations	27	27	27	27

## შესავალი

გაზრდილმა გლობალიზაციამ და პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გაზარდა ინტერესი ფინანსური აღრიცხვის ხარისხის მიმართ ბაზრის მონაწილეებსა და რეგულატორებს შორის. ამიტომაც, საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების საბჭომ შექმნა და შეიმუშავა უამრავი რეკომენდაცია, სტანდარტი, რომელიც მიუთითებდა ბიზნეს-სექტორის მონაწილეებს აღრიცხვის სისწორისკენ. ასევე საერთაშორისო სტანდარტების შექმნის წინაპირობას წარმოადგენდა ისიც, რომ მსოფლიოს მასშტაბით კომპანიების ფინანსური მონაცემები ყოფილიყო შესადარისი ერთმანეთთან. ამით დაცულები იქნებოდნენ უცხოელი ინვესტორებიც და თავად ბაზრის მონაწილეები თაღლითობის რისკისგან.

საქართველოში საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების სავალდებულო დანერგვა მოხდა 21-ე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მოცემული რეგულაცია პრაქტიკაში არ ხორციელდებოდა. მას იყენებდნენ მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტები და საქართველოს ბაზრის ლიდერი კომპანიები, რომელიც განპირობებული იყო უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით და მათი მოთხოვნების შესრულებით.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ლიბერალური საგადასახადო სისტემა, რომელიც გულისხმობს გადასახადების განაკვეთებისა და რაოდენობის სიმცირეს, რომელიც უბიძგებს და ასტიმულირებს უცხოურ ინვესტიციებს.

საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენდა ყოველწლიური მოგების გადასახადის გაუქმებას ბიზნესისთვის (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 97) რეგულაციამდე. პრაქტიკაში არსებობდა ორმაგი აღრიცხვა, საგადასახადო და ფინანსური, რაც ბიზნესისთვის დამატებით თავსატეხს წარმოადგენდა. ესტონური მოდელის მიხედვით კი პრაქტიკულად გამოირიცხა ორმაგი აღრიცხვის სისტემა, ამიტომაც დღეისათვის ფინანსური ოპერაციების

აღრიცხვა საქართველოში ბიზნესისათვის მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური კუთხით, რაც ერთი მხრივ გამარტივებულია პრაქტიკაში გამოსაყენებლად და მეორე მხრივ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად (Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020; page 5) საქართველომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც პირველ და მეორე კატეგორიის საწარმოებს, მოეთხოვებათ სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, რომელიც გახდება საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის (კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ, თავი II, მუხლი 3;5) .

კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები იქნება საჯარო და გამოქვეყნდება პორტალზე [reportal.ge](http://reportal.ge), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ნახოს, მიმოიხილოს და საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე გამოიყენოს კომპანიების ფინანსური ინფორმაცია.

## **კანონი**

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში 21-ე საუკუნის დასაწყისიდან სავალდებულო გახდა ბიზნესისთვის საკუთარი ოპერაციების აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტების თასს და ბასს - ების შესაბამისად, მაგრამ მოცემული რეგულაცია მხოლოდ ფურცელზე დარჩა და პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა. ამიტომაც საჭირო იყო გარკვეული რეგულაციების, ნორმების გამკაცრება, რომლითაც კანონი სავალდებულო გახდებოდა. აღსანიშნავია ასევე, რომ 2015 წელს საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიერ გამოქვეყნებული დასკვნა „Financial Sector Assessment Program, Georgia, ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა, საქართველო“, რომლის მიხედვითაც საქართველოში რეგისტრირებულია, ბევრი აუდიტორული ფირმა/დამოუკიდებელი აუდიტორი, რომელსაც არ ჰყავდა

მარეგულირებელი ორგანო, შესაბამისად, მათი გაცემული დასკვნების სარწმუნოება მხოლოდ და მხოლოდ მათ განათლებაზე, კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. მოცემული კანონის მიღებამდე, აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მარეგულირებელ/მარეგისტრირებელ ორგანოდ ითვლებოდა საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, რომლის გავლენაც, აღნიშნულია დასკვნაში, ძალიან მცირეა და რეალურად ხარისხის შემონმების ბერკეტი არ გააჩნდა.

შესაბამისად, მოცემული საკანონმდებლო რეგულაცია, თავის მხრივ, აამაღლებს ბიზნეს სექტორის ცნობიერებას და გააუმჯობესებს აღრიცხვას, რომელიც წაადგება ბიზნეს სექტორსა და სახელმწიფოს.

2014 წელს ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით (Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020; page 5), საქართველომ აიღო ვალდებულება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფერო ეტაპობრივად დაუახლოოს ევროკავშირის ნორმებს და სტანდარტებს.

ამ მიმართულებით მუშაობა გაცილებით ადრე დაიწყო. 2007 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით საქართველოს შესახებ, აუცილებელი იყო აუდიტის სფეროში გატარებულიყო გარკვეული რეფორმები. წარმოდგენილი იყო შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს მთავრობას. პირველად 2012 წელს მიიღეს კანონი და გაითვალისწინეს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები (კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ), მაგრამ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ (Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020; Page 9), 2016 წელს გადაისინჯა კანონი, რომელიც გულისხმობდა გარკვეული კომპანიებისთვის ანგარიშგების სავალდებულოდ წარდგენას და მის საჯაროობას.

რეფორმის მიღებამდე აუცილებელი იყო მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინება (2007), რომელიც თავის მხრივ 2014 წელს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ქვეყნისთვის სავალდებულოც გახდა .



საჭირო იყო კომპანიების კატეგორიზაცია. პირველ რიგში უნდა მომხდარიყო საზოგადოებისთვის დაინტერესებული პირების (კომპანიების) გამოყოფა.

კანონის „მენარმეთა შესახებ“ მიხედვით ეს არის იურიდიული პირი, რომელიც შეიძლება იყოს (I) ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ანგარიშვალდებული სანარმოები, (II) კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, (III) მზღვეველი, საინვესტიციო ფონდი და (IV) საქართველოს მთავრობის მიერ სღპ -ად (საზოგადოებრივი დაინტერესების პირი) განსაზღვრული პირი (მუხლი 2, პუნქტი ყ).

შემდეგი ნაწილი იყო სანარმოთა კატეგორიზაცია, რომელიც უნდა განსაზღვრულიყო შემდეგნაირად (გრაფიკი # 1).

სამი კატეგორიის განმსაზღვრელი ფაქტორიდან სულ მცირე ორის დაკმაყოფილების შემთხვევაში სანარმო უნდა ყოფილიყო ვალდებული წარედგინა ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად. (პირველი და მეორე კატეგორია).

შემდეგი რეკომენდაცია მოიცავდა უკვე აუდიტორების რეგისტრაციას/შემონმებას. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით უნდა მომხდარიყო აუდიტორული ფირმების, აუდიტორების სავალდებულო რეგისტრაცია და მათი ხარისხის შემონმება (Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020; Page 41) . ასევე, სახელმწიფოს თავის მხრივ უნდა ეკონტროლებინა აუდიტორები, რათა მათ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ და აუდიტორთა ეთიკის კოდექსის მიხედვით წარემართათ საკუთარი საქმიანობა და მოსაზრება გამოეთქვათ საკმარისი მტკიცებულებების შესაბამისად. ამის გასაკონტროლებლად, გარდა ფირმების/აუდიტორების რეგისტრაციისა და შემონმებისა, სავალდებულო გახდა საზოგადოებისთვის დაინტერესებული პირების აუდიტის ჩატარების შემთხვევაში კომპანიას გაემუღავნებინა გადახდილი ანაზღაურება აუდიტორისთვის, რომელიც იქნებოდა სამსახურისთვის შეფასების მაჩვენებელი, ხომ არ იდგა დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ. რადგანაც არასაბაზრო ანაზღაურება აუდიტორისთვის, შესაძლოა შეიცავდეს

ფარულ თაღლითურ გარიგებებს, რომელიც ეწინააღმდეგება ფინანსური აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების/ვაღდებულების მთავარი პუნქტები საქართველოს მთავრობამ მთლიანად და ზოგ შემთხვევაში უფრო მეტად გაითვალისწინა და მივიღეთ 2016 წლის ივნისში კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომლის მიხედვითაც (თავი II, მუხლი 3) :

სღპ (საზოგადოებრივი დაინტერესების პირი), პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებისთვის სავალდებულო გახდა ყოველი დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ წარედგინათ ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულ დასკვნასთან ერთად, ასევე მმართველობის ანგარიშგება, რომელსაც მოამზადებდა მენეჯმენტი და კანონთან შესაბამისობაზე აუდიტორი გამოთქვამდა მოსაზრებას. საზოგადოებისთვის დაინტერესებული პირი და პირველი კატეგორიის საწარმოებისთვის ანგარიშგების მომზადება სავალდებულოა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხოლო მეორე კატეგორიის საწარმოებისთვის, გამონაკლისის სახით, შესაძლებელი იყო მომზადება ფინანსური აღრიცხვის მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტების შესაბამისად (IFRS For SME's), მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის ანგარიშგების წარდგენა იქნებოდა ნებაყოფლობითი საწყის ეტაპზე (არა აუდირებული), მაგრამ სამომავლოდ იგეგმება მოცემული კატეგორიების ანგარიშგებების სავალდებულო წარდგენაც.

რაც შეეხება აუდიტორულ ფირმებს, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების საბჭომ დაიწყო აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეგისტრაცია/აღრიცხვა და მათი კატეგორიზაცია (კანონი სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე; მუხლი 2). თავის მხრივ, კანონის მიხედვით აუდიტორული საქმიანობას გაუჩნდა რეგულატორი, რომელიც ფირმებსაც გარკვეული კატეგორიების მიხედვით ჰყოფს (პირველი, მეორე და მესამე). პირველ კატეგორიაში შედის მხოლოდ და მხოლოდ 5 აუდიტორული ფირმა(saras.gov.ge; აუდიტორული ფირმების რეესტრი),

რომლებმაც ყველაზე უკეთ გაიარეს ხარისხის კონტროლის შემოწმება. ასევე, საზოგადოებისთვის დაინტერესებული პირების აუდიტის ჩატარების უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ პირველი და მეორე კატეგორიის აუდიტორულ ფირმებს, რადგანაც მათ მესამე კატეგორიასთან შედარებით აქვთ უკეთესი კომპეტენცია და ხარისხი (saras.gov.ge, აუდიტორული ფირმების რეესტრი)

თავის მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭომ, კანონის შესაბამისად, დაიტოვა უფლებამოსილება ნებისმიერ დროს შეამოწმოს აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე სავალდებულო ხარისხის კონტროლის გავლა სდპ (საზოგადოებისთვის დაინტერესებული პირი) - აუდიტის ჩატარების მქონე კომპანიებისთვის ყოველ 3 წელში ერთხელ, დანარჩენების 6 წელიწადში ერთხელ (კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ).

კანონის მიხედვით აუცილებელი გახდა მმართველობითი ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებაც, რომელიც მოიცავდა დამატებით არა ფინანსურ ინფორმაციას, გეგმებს, მისია/მიზანს და რისკების გამჟღავნებას.

სავალდებულო გახდა წიაღით მოსარგებლე კომპანიებისთვის დამატებით წარდგენა ანგარიშის სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ. (კანონი ბუღალტრული, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ)

## **გამონწვევები კანონის მიღებამდე :**

### ***კონკურენციის პრობლემა***

საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ (2014) ცდილობს ბაზარი მიუახლოვოს ევროპულ სტანდარტებსა და გახადოს უფრო თავისუფალი. ცხადია არსებობს მჭიდრო კორელაცია თავისუფალ ბაზარსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მაგრამ მიუხედავად ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკისა და ბიზნესის კეთების სიმარტივისა (Doingbusiness rankings; 2019) საქართველოს ეკონომიკაში მაინც არსებობს გარკვეული სექტორები, რომლებიც მონოპოლიურია (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო 2012, ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით, გვერდი 12). ეს სექტორები ძირითადად მოიცავს ისეთი სახის ბიზნეს საქმიანობას, სადაც კაპიტალური დანახარჯები დიდია, შესაბამისად საწყის ეტაპზე დიდი რისკია გასაწევი, მაგრამ მოცემული კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკურენციის ზრდის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ბიზნესმენისთვის, მომავალი სტარტაპერისთვის შესაძლებლობას ერთიანი პორტალის მეშვეობით მოახდინოს ბაზრის კვლევა და მისთვის საინტერესო სექტორის წამყვანი კომპანიების ფინანსური მონაცემების მიმოხილვა.

### ***კაპიტალის ბაზრის შესუსტება***

როგორც აღნიშნულია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებულ ანგარიშში (კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია - კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი, 2016, გვერდი 13).

„2007 წლამდე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა ხორციელდებოდა იმ ნორმატივებით, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და რომელიც ძირითადად აერთიანებდა შეერთებულ შტატებში 90-იანი წლების დასაწყისში გავრცელებულ მიდგომას კაპიტალის ბაზრების მიმართ. იმავე პერიოდში შეიქმნა სავაჭრო პლატფორმა საფონდო ბირჟის სახით. მისი გამოყენება სავალდებულო იყო საჯარო ფასიანი ქაღალდებით ყველა გარიგების შემთხვევაში. მასზე სავაჭროდ განთავსდა პრივატიზაციის გეგმის ქვეშ მოხვედრილი ყველა საწარმოს ფასიანი ქაღალდი. კომპანიების აქციონერები, რომლებიც ძირითადად ამავე კომპანიებში დასაქმებული პირები იყვნენ თავის აქციებს ბროკერების და დილერების მეშვეობით ასხვისებდნენ. ერთი შეხედვით, შეიქმნა ორგანიზებული ბაზარი, რომელმაც თავი მოუყარა ყველა საწარმოს ფინანსურ ინსტრუმენტს და საშუალება მისცა ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ ინვესტორებს მათთვის ხელსაყრელი გარიგებები დაედოთ მეტ-ნაკლებად ორგანიზებული სისტემის მეშვეობით. თუმცა მსგავსი სისტემის ქვეშ მოქცეულმა კაპიტალის ბაზარმა აჩვენა, რომ აქტივობა რომელიც მასზე ფიქსირდებოდა განპირობებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა ბაზრის საჭიროებით. როგორც კი ეს მოთხოვნა გაუქმდა, ბაზრის ბრუნვაც შემცირდა. 2007 წლის ივლისიდან დაიწყო ცვლილებები, როგორც საკანონმდებლო ბაზის შეცვლის და მისი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მიახლოების კუთხით, ასევე რეგულირების პრინციპების მოდერნიზაციის თვალსაზრისით. კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია კანონმდებლების უპირველეს ამოცანას ბაზრის დერეგულირება წარმოადგენდა. ბაზრის მონაწილეებს შეეხოთ ისეთი ცვლილებები, რომელიც მათ არჩევანის საშუალებას მისცემდა და უფრო მოქნილს გახდიდა ბაზრის ფუნქციონირებას. ცვლილებების მიზანი იყო არსებული კანონმდებლობის დახვეწა, უმოქმედო და ზედმეტი ვალდებულებების მქონე მოთხოვნების გაუქმება და განვითარების დაბალ სტადიაზე მყოფი ბაზრისა და მისი მონაწილეებისათვის შედარებით ლიბერალური კანონმდებლობის შეთავაზება. ცვლილებებამდე შესაძლებელი იყო მხოლოდ ბირჟაზე

ვაჭრობა. ინვესტორს არ ჰქონდა შესაძლებლობა პლატფორმის გარეთ ეწარმოებინა რაიმე გარიგება საჯარო ფასიანი ქაღალდით. კანონმდებლობის ახალმა რედაქციამ შემოიღო არასაბირჟო გარიგების ცნება. ინვესტორს მიეცა შესაძლებლობა, თავისი საჭიროების მიხედვით გამოეყენებინა საბროკერო კომპანია შუამავლის სახით ან განეხორცილებინა პირდაპირი გარიგება. ამავე დროს, ფასების გამჭვირვალობისა და რაიმე შესაძლო უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებლობით განისაზღვრა ე.წ. ფიქსინგის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფდა საჯარო ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის სისტემატიზაციასა და „ორმაგი გარიგებების“ მცდელობის თავიდან აცილებას. მნიშვნელოვანი იყო ბაზარზე ლიბერალიზაციის კუთხითაც გადადგმული ნაბიჯები: ცვლილებებამდე დასაშვები იყო მხოლოდ ერთი საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის არსებობა. განხორციელებულმა ცვლილებებმა კი შესაძლებელი გახდა ყველა დაინტერესებული მხარე გამხდარიყო ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების (ბირჟის და დეპოზიტარის) ლიცენზიის მაძიებელი და დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში განეხორციელებინა შესაბამისი საქმიანობა. თუმცა მიუხედავად ამისა, ახალი ბირჟა ან დეპოზიტარები არ ამოქმედებულა, ანუ ლიბერალიზაციამ სასურველი შედეგი კონკურენციის გაძლიერების მიმართულებით არ გამოიღო. იმავე პერიოდში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩნდა ჩანაწერები, რომლებიც ბევრად უფრო ამარტივებდნენ ზედამხედველობასა და რეგულირებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ვინაიდან ხშირად უცხო ბაზრებიდან შემოსულ ინვესტორს დაბრკოლებად მიაჩნდა

პროცედურების გავლა, ეროვნულმა ბანკმა საჭიროდ ჩათვალა კიდევ ერთი შეღავათი დაენესებინა კონკრეტული ტიპის ემიტენტებზე. ეს შეღავათი შეეხო საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც 2015 წლის განმავლობაში ინტენსიურად დაინტერესდნენ საქართველოს ფინანსური ბაზრებით და გამოუშვეს ლარში ნომინირებული ობლიგაციები. აღნიშნული ობლიგაციები ჯერ მხოლოდ კერძო

შეთავაზების გზით განთავსდა. საჭიროა დამატებითი მუშაობა ამ მიმართულებით და კანონმდებლობის მაქსიმალური მოქნილობა, რათა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები დაინტერესდნენ მათი ქალაქების საჯარო განთავსებითაც. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნებისმიერი შეღავათი, რომელიც დანესდება შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან და ევრო დირექტივებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საქართველოს ბაზარი დღეს უკვე არის ლიბერალიზებული. შეზღუდვები, რომლებიც ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის იყო ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი, ჩვენთან დიდი ხანია აღარ არსებობს. აღნიშნული ეხება, როგორც ინვესტორთა წვდომას ბაზრის სხვადასხვა სექტორებზე და ინსტრუმენტებზე, მათ შორის არარეზიდენტების ჩათვლით, ისე ფინანსური შუამავლების უფლებებს შესთავაზონ მრავალფეროვანი პროდუქტები და სერვისები საკუთარ კლიენტებს. თუმცა, როგორც გასული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, ეს არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იმისათვის რომ ბაზარი გაიზარდოს და განვითარდეს. ბაზარს და მის მონაწილეებს ჭირდებათ დამატებითი სტიმულები და სხვა შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრა, იმისათვის, რომ მივიღოთ ბაზრის განვითარების დაჩქარებული ტემპები.

მიუხედავად მოცემული რეფორმებისა და ბაზრის ლიბერალიზაციისა, გარიგებების მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან ძალიან დაბალია და თუ შევადარებთ დინამიკას განვითარებულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, როგორც ეს აღნიშნულია კაპიტალის ბაზრის განვითარების და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშში, რომელიც მთავარ პრობლემად მიიჩნევს ინვესტორების დაუცველობის საკითხს და ფინანსური გამჭირვალობის არარსებობას. გამომდინარე ამ ფაქტორებიდან, საქართველოში ფულადი სახსრები უფრო ძვირია ბიზნეს სექტორისთვის, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამაზე საუბარია საერთაშორისო მონეტარული ფონდის 2015 წლის ანგარიშშიც.

## **დაფინანსების პრობლემა**

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კაპიტალური ბაზრების შესუსტებისა რჩება ფინანსების მოძიების სისტემა. საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიხედვით, რომელმაც საკუთარი დასკვნა და ქვეყნის შეფასება 2015 წელს გამოსცა (ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა, საქართველო, გვ 5), მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ ქვეყანაში ფულის ბაზრის მთავარი მოთამაშეები არიან ბანკები, რომლებსაც სრული მონოპოლია აქვთ ფულადი რესურსების მიწოდების კუთხით. ასევე, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ფულადი ბაზრების ამ ფორმით განვითარება აძვირებს ფულად რესურსებს, რადგანაც ფულის ბაზარზე არ არსებობს კონკურენცია, რომელიც შეასუსტებდა ბანკების პოზიციებს. აღსანიშნავია მაღალი რეფინანსირების განაკვეთიც, რომელიც ასევე, თავის მხრივ ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რაც ბიზნესისთვის დამატებითი ტვირთია.

## **ორმაგი აღრიცხვა და საგადასახადო ჯარიმები**

როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. „ესტონური მოდელი“- ს ძალაში შესვლამდე, 2017 წლამდე, საქართველოში არსებობდა ორმაგი აღრიცხვა, საგადასახადო და ფინანსური. იქიდან გამომდინარე, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს მიერ შემუშავებულ კანონპროექტამდე ფინანსური აღრიცხვა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურადაა იყო და პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა. კომპანიები უპირატესობას ანიჭებდნენ საგადასახადო აღრიცხვას. 2017 წლამდე საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადების ადმინისტრირება/წარმოების შემონგება ხდებოდა, როგორც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ასევე საგადასახადო აღრიცხვის შესაბამისად (საქართველოს საგადასახადო კოდექსი მუხლი 97; მუხლი 200). აქედან გამომდინარე კომპანიებისთვის ორმაგი აღრიცხვის



წარმოება წარმოადგენდა დამატებით თავსატეხს და რეალურად პრობლემას. რაზვეც მიუთითებს საგადასახადო ჯარიმები და დარიცხული სანქციები კომპანიებზე.

2017 წლის 1 იანვრიდან მოხდა საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და გაუქმდა ყოველწლიური მოგების გადასახადი, რაც კომპანიებს აძლევდა შესაძლებლობას წლიური მოგების თანხის რეინვესტირებას ბიზნესში დამატებითი გადასახადის გარეშე (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 97). გარდა ამ სარგებლისა, კომპანიები (გარდა ფინანსური სექტორისა), მთლიანად გადავიდნენ ფინანსურ აღრიცხვაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უფრო ნათელი გახდა აღრიცხვის ფორმა.

ე.წ. „ესტონური მოდელი“-ს ძალაში შესვლამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობდა ორმაგი აღრიცხვის სისტემა, საგადასახადო და ფინანსური, შესაბამისად კომპანიას სჭირდებოდათ კვალიფიციური კადრები ორივე მიმართულებით, რათა რისკები განეიტრალებინათ, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ გააჩნდა მცირე და საშუალო ბიზნესს, რაც თავის მხრივ იწვევდა საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმების პერიოდში დიდი მოცულობით დარიცხულ სანქციებს.

### ***თემის აქტუალურობა***

აღსანიშნავია, რომ დასავლური პარტნიორები, მათ შორის ჩვენს ნაშრომში მოყვანილი ორგანიზაციებიც, ცდილობენ საქართველოს და არა მარტო საქართველოს, ყველა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანას, ხელი შეუწყონ სწრაფ განვითარებაში, აძლევენ გარკვეულ რეკომენდაციებს, მითითებებს, რომელიც აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში.

პირველ რიგში, თემას აქტუალურობას სძენს ის ფაქტი, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს მიერ ინიცირებულ კანონპროექტის მიღებამდე იყო

საერთაშორისო თანამეგობრობის პირდაპირი ღირეცტივა და აუცილებელია შეფასდეს რამდენად შეასრულა საქართველომ აღნიშნული რეკომენდაციები. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის ფარგლებში, შევეცდებით შევაფასოთ და დავანახოთ დაინტერესებულ მხარეებს რა სარგებლის მოტანა შეუძლია მოცემულ კანონს საქართველოსთვის და რა პერსპექტივა აქვს მას, რომ შეიქმნას ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზა, რომელიც წაადგება სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს ეფექტიანად მუშაობაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემული კანონი იყო გამოძახილი სახელმწიფოს მიერ გატარებული ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკისა, რომელმაც გაამარტივა ბიზნესის კეთება საქართველოში (Doingbusiness rankings, 2018; 2019).

### ***ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა:***

დღევანდელ გლობალურ გარემოში, ბიზნესის მიმართულებით მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც მსოფლიო გახდა საზღვრების გარეშე, ყოველდღიურად უქმდება ქვეყნებს შორის შეზღუდვები, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო არეების გაფართოებას. საქართველოშიც ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება გაფორმებულია 55 ქვეყანასთან (ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით), ასევე გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება განვითარებულ ქვეყნებთან, რაც გულისხმობს საქონლის მიმოცვლას ყოველგვარი შეზღუდვისა და დამატებითი გადასახადის გარეშე, მოცემული კუთხით მუშაობა მიმდინარეობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავალებით. ასევე გლობალიზაციის პირობებში საჭირო გახდა ერთიანი აღრიცხვიანობის სისტემის შემოღება, რომელიც გაადვილებდა ინვესტორებისთვის გადაწყვეტილების მიღებას. თავის მხრივ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიზანია აღრიცხვიანობის ჰარმონიზება მთელს მსოფლიოში, გარდა ამისა განვითარებულ ქვეყნებს აქვთ საკუთარი სტანდარტები, მაგალითად

ამერიკის შეერთებული შტატები, რომლისთვისაც აღრიცხვა მიმდინარეობას US GAAP - მიხედვით, ამის მიუხედავად მათაც თავის მხრივ საკუთარი აღრიცხვის სტანდარტები ძალიან მიაახლოვეს და შესადარისი გახადეს საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებთან (IFRS and US GAAP: similarities and differences; pwc 2018). ეს ყველაფერი მიზანმიმართულია იმისკენ, რომ საინვესტიციო გარემო გაუმჯობესდეს, თავისუფლად მოხდეს ფულადი სახსრების თუ სხვა პროდუქტის მიმოცვლა. მარტივი ხდება ბიზნესისთვის უცხოური დაფინანსების მიღება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ოპერაციები აღრიცხულია და მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების/ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

## **სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა:**

მოცემული ნაშრომისთვის გამოყენებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის საფუძველზეც მომზადდა კვლევა. პირველ რიგში, მოცემული ნაშრომისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა საერთაშორისო მონეტარული ფონდის დასკვნა (2015), რომლის მიხედვითაც არსებობდა გარკვეული პრობლემები ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით საქართველოში. ასევე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 2014 წელს და საქართველომ აიღო ვალდებულებები ევროპის გაერთიანებასთან (ASSOCIATION AGENDA BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA 2017-2020). პრობლემების დასახვის ნაწილში გამოვიყენეთ კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიში, სადაც საუბარია კაპიტალის ბაზრის პრობლემებზე, რომელიც გამოძახილია საერთაშორისო მონეტარული ფონდის 2015 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ, საქართველოს ბაზარზე ბანკების მონოპოლიზაციის, სასესხო საპროცენტო მაღალი განაკვეთების

არსებობაზე, რომელიც თავის მხრივ დაღს ასვამს ბიზნესს და ურთულებს საქმიანობის დაფინანსების წყაროებს.

კანონმდებლობის შესაფასებლად გამოვიყენეთ საქართველოს კანონმდებლობის ელექტრონული ვარიანტი ([matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge)), ასევე ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს ერთიანი პორტალი ([saras.gov.ge](http://saras.gov.ge)).

კვლევაზე შევაფასეთ და მიმოვიხილეთ განვითარებადი ქვეყნების ზოგადი სურათი, რომლებმაც დანერგეს მსგავსი კანონი და ჰქონდათ გარკვეული გაუმჯობესებული შედეგები ეკონომიკისა და ბიზნესის კუთხით. გამოვიყენეთ, ეკონომიკური სარგებელი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა რუმინეთში, რომელიც მომზადებულია ბუქარესტის ეკონომიკური აკადემიის მიერ.

გორდონის უნივერსიტეტის პროფესორის აღრიცხვის მიმართულებით, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების როლი ფინანსურ რისკებში და ფინანსურ ბაზრებზე. რომლის მიხედვითაც შევაფასეთ თუ ზოგადად რა სიკეთის მომტანი შესაძლოა იყოს ფასს - ების სავალდებულო დანერგვა და რა არის მთავარი სარგებელი, რომელიც სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს.

ასევე მომავალი შედეგების და ფინანსური დინამიკის შესაფასებლად გამოვიყენეთ ფინანსთა სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომელიც სარწმუნოა და დათვლილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მიმოვიხილეთ ინვესტიციების დინამიკა და შევაფასეთ რა სარგებელი შესაძლოა მოუტანოს ამ კანონმა სახელმწიფოს. (გრაფიკი #2, გრაფიკი #3)

გამოვიყენეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2015 წლის კვლევა, რომლის მიხედვითაც გაერო მხარს უჭერს განვითარებად ქვეყნებს, საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების დანერგვაში, რომლის მიზანიც სამომავლოდ ფინანსური გამჭირვალობა და სიღარიბის დაძლევაა.

გამოვიყენეთ Doing business 2018 და 2019 წლის ანგარიში, რომლითაც შევაფასეთ საქართველოში ბიზნესის კეთების სიმარტივე. საქართველო მოცემულ რეიტინგში მოწინავე პოზიციებს იკავებს (6), შესაბამისად, დამატებით ფინანსური გამჭირვალობა ქვეყანას უკეთესად განვითარებასა და ინვესტიციების ზრდას შეუწყობს ხელს.

ნაშრომის თარგლებში მიმოვიხილეთ საქართველოს მთავრობის და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმა, მათი ხედვა, თუ რა გავლენა ექნება კანონის დანერგვას და კონკრეტულად რა სიკეთის მომტანი შესაძლოა იყოს ქვეყნისთვის.

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანს და მისიას წარმოადგენდა, რომელიც აღნიშნულია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს მიერ წარმოდგენილ დასკვნაში:

1. კორპორაციული მართვის და სააღრიცხვო დისციპლინის გაუმჯობესება;
2. ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლება;
3. კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;
4. ფინანსური სექტორის ეფექტურობის ზრდის ხელშეწყობა;
5. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;
6. პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
7. კონკურენციის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ხედვა თანხვედრაშია საერთაშორისო თანამეგობრობის ხედვასთან, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაიწყო და 2015 წლის კვლევის მიხედვით, აუცილებელია განვითარებად ქვეყნებში მოხდეს საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების დანერგვა და ჰარმონიზება მთელს მსოფლიოსთან.

კვლევის მიხედვით (2015), რომელიც მიზანმიმართული იყო ქვეყნებში სიღარიბის დაძლევისაკენ და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისკენ, მათ დაისახეს 17 მთავარი მიზანი, რომელშიც ერთიანდებოდა 169 ქვე - მიზანი.

ერთ - ერთ და ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა გამჭვირვალობის არარსებობა. სწორედაც, რომ გაერომ დაისახა მიზნად განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელშეწყობის კუთხით გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით მომხდარიყო ჰარმონიზება საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვისა განვითარებად ქვეყნებში და შესაბამისად, ფინანსური გამჭვირვალობა უზრუნველყოფდა კონკრეტული ქვეყნის გლობალიზაციის პროცესში ჩართვას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და სიღარიბის დაძლევას უცხოური ინვესტიციების დახმარებით.

კანონის დანერგვა, ცალსახად უზრუნველყოფს ქვეყანაში გამჭვირვალობის დონის ზრდას, დიდი კომპანიების ფინანსურ სტაბილურობას გრძელვადიან პერიოდში. მაგრამ გარდა ამისა, კანონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყურადსაღები სიკეთე არის ის, რომ მოცემული ანგარიშგებები იქნება საჯარო და შეეძლება ყველა დაინტერესებულ მხარეს ისარგებლოს (reportal.ge) მეშვეობით. ამიტომაც გაჩნდა ერთგვარი შესაძლებლობა, საქართველოს ბაზარზე, საიმედო ფინანსური მონაცემები სექტორების, კომპანიების, ლოკაციების მიხედვით იყოს ხელმისაწვდომი. პარალელი გავავლეთ მსოფლიოში უდიდეს მონაცემთა ბაზებთან, რომლებიც წლების განმავლობაში იქმნებოდა, ვითარდებოდა. სწორედ ასეთი სახის სარწმუნო ინფორმაციებს იყენებენ ბლუმბერგი და ამადეუსი, საკუთარი წარმატების მისაღწევად.

### **ბლუმბერგი**

კომპანია ბლუმბერგი დაარსდა 1981 წელს, პირველი სახელწოდება INNOVATIVE MARKET SYSTEM იყო(1987 წელს კი კომპანიას იმუამინდელი სახელი ბლუმბერგით შეიცვალა), რომლის მთავარი მიზანი გახდა ფინანსური ინფორმაციის მიწოდება. ეს სფერო მაიკლ ბლუმბერგისთვის უცხო არ იყო როგორც მისი სამი კომპანიისათვის, რომლებიც INNOVATIVE MARKET SYSTEM-ის დაარსებამდე მუშაობდნენ SALOMON-ში(SALOMON BROTHERS) და იყვნენ გათავისუფლებულები შემცირების გამო.

ბლუმბერგ ტერმინალის შექმნის პროცესში მაიკლმა არ გამოიყენა ის ტექნოლოგიები და მიდგომები რომლებიც გამოიყენებოდა SALOMON BROTHERS-ში, გამოდიოდა რომ იქმნებოდა სრულიად ახალი და ინოვაციური პროდუქტი იმ დროისთვის. ამასთან ერთად, მაიკლმა გადაწყვიტა, რომ კომპანიას უნდა გაეწია ფინანსური კონსულტაციები. ამით ბლუმბერგმა იპოვა კიდევ ერთი გადაწყვეტილება გამოემუშავებინათ დამატებითი თანხა. პირველი მათი დამკვეთი კი გახდა საინვესტიციო ბანკი MERILL LYNCH, რომელიც შემდგომში ბლუმბერგ ტერმინალის პარტნიორიც გახდება.

პირველი 22 ტერმინალიც შეიქმნა MERILL LYNCH-სთვის 1983 წელს. ბლუმბერგ ტერმინალის რეალური განვითარება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება.

ამის შედეგ იყო MERILL LYNCH-ის მიერ თანხის ინვესტირება ბლუმბერგ ტერმინალში.

1984-1985 წლებში ბლუმბერგ ტერმინალის მომხმარებლები გახდნენ ამერიკის ცენტრალური რეზერვების ბანკი და ინგლისის ცენტრალური ბანკი.

1987 წელს ბლუმბერგი ანაცვლებს ფედერალური რეზერვების ბანკს THE WALL STREET JOURNAL-სა და ASSOCCOATEF PRESS-ში.

1988 წელს ტერმინალის ინტერფეისი გამარტივდა და ოპერაციები დაემატა.

1989 წელს ტერმინალების რაოდენობა 5000-მდე გაიზარდა.

1990 წელს ბლუმბერგმა დაამატა BLOOMBERG NEWS SERVICE, რითიც აღარ იყო დამოკიდებული რომელიმე გამომცემლობაზე.

1991 წელს ბლუმბერგმა იყიდა რადიო WNEW.

1992 წელს შეიქმნა გამომცემლობა BLOOMBERG MAGAZINE

1994 წელს კი ბლუმბერგი პირველად ტელე ეთერშიც გამოჩნდა.

ამის შემდეგ მოთხოვნიდან გამომდინარე მაიკლმა დაამატა მომსახურება BLOOMBERG PROFESSIONAL.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მაიკლი განაგრძობდა კომპანიის წილის გამოსყიდვას პარტნიორებისგან და 2008 წელს 88% აქციების მფლობელი გახდა. 12 % მფლობელი კი საინვესტიციო ბანკ MERILL LYNCH დარჩა.

## ბლუმბერგ ტერმინალი დღეს

ტერმინალი არის კომპიუტერული სისტემა რომელიც ფინანსისტებს, საფონდო ბირჟის მაკლერებსა და სხვა სფეროს წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას ისარგებლონ BLOOMBERG PROFESSIONAL -ის სერვისით, რისი მეშვეობითაც მომხმარებლებს შეუძლიათ რეალურ დროში აკონტროლონ საფონდო ბირჟის ცვლილებები, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია და ამავდროულად ელექტრონულად შეუძლიათ მოაწყონ ვაჭრობა. BLOOMBERG PROFESSIONAL თავის თავში აერთიანებს ყველა იმ საჭირო სერვისს (ახალი ამბები, ფოსტა, ინფორმაციის გაცვლა დაცული ქსელის მეშვეობით, კოტირება) რაც აუცილებელია თითოეული მომხმარებლისთვის.

ეს ყველაფერი კი ქმნის ერთიან სისტემას რომელის დიზაინის მოძველების მიუხედავად ლიდერია ბაზარზე უკვე რამოდენიმე ათეული წელია.

დღესდღეისობით ბლუმბერგი განთავსებულია ნიუ-იორკში, ბლუმბერგ თაუერში მანჰეტენზე. თანამშრომელთა რაოდენობა 9500 აჭარბებს, ხოლო ტერმინალების და გამომწერების რაოდენობამ დიდი ხანია 300 000 გადააჭარბა.

*ფასი და მომსახურება:* ბლუმბერგ ტერმინალის მომსახურება დღეის მდგომარეობით საკმაოდ მაღალია ბაზარზე. წლიური ღირებულება 24 000 დოლარს შეადგენს, რა თქმა უნდა ფასი მცირდება 2 ან მეტი გამომწერის ჩართვის შემთხვევაში, მაგრამ ფასი მაინც სტაბილურად მაღალი რჩება.

მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით მსგავს კომპიუტერულ სისტემებს კონკურენციის გაწევა მაინც უჭირთ. (Bloomberg Official)

ბლუმბერგის ინფორმაციის მიმოხილვა, განვითარების დინამიკა და დღევანდელი პოზიციონირება ბაზარზე აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგანაც მოცემულ სისტემას იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკიც, რომლის მიხედვითაც ხდება სავალუტო ოფიციალური გაცვლითი კურსის დადგენაც. მიკროსაფინანსოები და ბანკები საკუთარი სავალუტო პოზიციის გამყარების დაცვას ახდენენ სწორედ ამ ტერმინალის



მეშვეობით. დებენ ყიდვა - გაყიდვის გარიგებებს, დღის ბოლოს კი განისაზღვრება საშუალო შენონილი ოფიციალური გაცვლითი კურსი სებ - ის მიერ.

(მოკლე ინფორმაცია ბლუმბერგის სისტემის შესაძლებლობებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

## **ამადეუსი**

კიდევ ერთ საინტერესო და მსოფლიოში ცნობილ საინფორმაციო სისტემას წარმოადგენს ამადეუსი. რომელიც დაარსდა 1987 წელს, სათაო ოფისი (შტაბი) მდებარეობს ესპანეთში, მადრიდში. ამადეუსი არის ტურიზმის სფეროში სპეციალიზებული სამოქალაქო მონაცემთა ბაზების ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი. კომპანიას აქვს 5 რეგიონალური ცენტრი და სამი კვლევითი ცენტრი მთელს მსოფლიოში.

ამადეუსის სისტემა მოიცავს ოც მილიონზე მეტ კერძო თუ საჯარო კომპანიის შესახებ ინფორმაციას, მთელი ევროპის მასშტაბით. ამ პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია როგორც კონკრეტული კომპანიის ანგარიშის შესწავლა, ასევე კონკრეტული მაგალითისთვის კომპანიების მოძიება და ანალიზი.

ამადეუსის ბაზები, როგორც ბლუმბერგის, საბოლოო გაფილტვრით შეიძლება ექსელის ფაილად ჩამოტვირთოთ ბაზებიდან.

2011 წლიდან ამადეუსი იყენებს ახალ ინტერფეისს, რაც საშუალებას იძლევა უფრო მოკლე დროში მივიღოთ სასურველი ინფორმაცია.

ინფორმაციები რომელსაც მოიცავს ამადეუსი:

- ინფორმაცია კერძო და საჯარო კომპანიების შესახებ დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში;
- ფინანსური ინფორმაცია, რომელიც საშუალებას გაძლევთ შეადაროთ კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებიდან;
- ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები;

- ბენეფიციართა დეტალური კორპორატიული სტრუქტურა;
- ანგარიშების გრაფიკული გამოსახულება და ფინანსური ანგარიშგება კომპანიებისთვის;
- საფონდო ბაზრის ფასებზე წვდომა საჯარო კომპანიებისთვის;
- ბაზრის მარკეტინგული კვლევა;
- კარტოგრაფიული ანალიზი;
- ბიზნესის საიხლევები და ინფორმაციები.

აღსანიშნავია, რომ ამადეუსის ფინანსურ ინფორმაციას იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ „შემოსავლების სამსახური“, საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შესატყვისებად.

### *Royalty Range*

კიდევ ერთი კომერციული პლატფორმა არის “Royalty Range”, რომელიც სხვადასხვა უცხოური გამჭირვალე კომპანიებისგან იღებს ფინანსურ მონაცემებს, ამუშავებს სექტორებს ლოკაციების მიხედვით და შემდეგ მომხმარებლებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების, საგადასახადო, ფინანსური თუ სხვა სახისა.

მოცემული საინფორმაციო სისტემები, რომლებიც აერთიანებენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან გამჭირვალე ფინანსურ მონაცემებს და ამის შემდეგ სთავაზობენ მომხმარებლებს მომსახურებას. საქართველოს ბაზრისთვის საკმაოდ „ძვირი მომსახურებაა“ იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 2018 წელს, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 4345 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც იმას გულისხმობს, რომ საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების რიცხვშიც კი საქართველო არ იკავებს მონაწილე პოზიციებს. აქედან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობას, ბიზნესს, არ გააჩნია იმის ფუფუნება,

რომ მოცემული სერვისებით ისარგებლოს და მიიღოს გარკვეული ფინანსური მომსახურება სარწმუნო ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოცემული ინფორმაცია არ იქნება შესადარისი და რელევანტური ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც ეკონომიკაზე, ფინანსებზე დიდი ზეგავლენა აქვს, კულტურულ, სოციალურსა და ეკონომიკურ ფაქტორებს.

ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების საბჭოს მიერ ინიცირებული კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ მოხდება ინტეგრაცია შემოსავლების სამსახურის პორტალისა და reportal.ge-ს, სადაც გამოქვეყნდება სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებები წლების მიხედვით. განვითარებადი ქვეყნისთვის, რომლის ეკონომიკაც მგრძობიარეა საგარეო რყევების მიმართ, აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს სრულფასოვანი ინფორმაცია ბიზნეს სექტორების შესახებ. კანონის მიღებამდე, სექტორების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდებოდა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც ავალდებულებდა ბიზნეს სუბიექტებს ყოველწლიურად/ყოველკვარტალურად ფინანსური/არაფინანსური ინფორმაციის შევსებას. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის სანდოობა/საიმედოობა დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ბიზნეს სუბიექტის, ანუ შემსვების კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ სტატისტიკის განზოგადება ხდებოდა და სახელმწიფო იქმნიდა წარმოდგენას ბიზნეს სექტორების შესახებ.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, ბიზნეს სუბიექტები, (საზოგადოებისთვის დაინტერესებული პირი, პირველი და მეორე კატეგორიის სანარმოები) გარდა ფინანსური ანგარიშგების ატვირთვისა, ავსებდნენ მონაცემებს შემოსავლების სამსახურის პორტალზე, რომლის სისწორეზეც აუდიტორი გამოთქვამს მოსაზრებას (კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ). შესაბამისად, ეს არის სტატისტიკის ეროვნული სააგენტოსთვის შესაძლებლობა მოახდინოს ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი სარწმუნო ციფრებზე, შესაბამისად სახელმწიფოსაც ექნება სარწმუნო

ინფორმაცია ბიზნეს სუბიექტების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მათი მხრიდანაც მოხდება სწრაფი რეაგირება კონკრეტულ სექტორებში.

ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების პორტალი, გარდა შემოსავლების სამსახურის პორტალისა, ინტეგრირებული იქნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პორტალთან, ეროვნული ბანკის საინფორმაციო სისტემასთან, სადაზღვეო სააგენტოს კომისიის პორტალთან და სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან. ეს იქნება შესაძლებლობა სახელმწიფო სექტორისათვის მიიღოს, სწრაფი და ხარისხიანი ფინანსური თუ არა ფინანსური ინფორმაცია ბიზნეს სუბიექტებისგან.

გარდა სახელმწიფოსთვის სარგებლისა, მოცემულ პორტალს, აქვს პოტენციალი მომავალში გარდაიქმნას, ერთგვარად საინფორმაციო ფინანსურ სისტემად, სადაც ასახული იქნება საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების შესახებ სარწმუნო ფინანსური ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც შეეძლება ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს და ალბათ ყველაზე უფრო ღირებული იქნება ბიზნესისათვისა და პოტენციური ინვესტორებისათვის. მათ შეეძლებათ მიიღონ სარწმუნო ფინანსური ინფორმაცია ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ასევე იქნება შესაძლებლობა დააჯგუფონ კომპანიები და მოიპოვონ მონაცემები სექტორების მიხედვით, რომლის შესაბამისადაც შეიქმნიან მოლოდინებსა და დინამიკას დარგის შესახებ.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში ვისაუბრეთ და დავანახეთ დაინტერესებულ მხარეებს თუ რა სარგებლის მიღება არის შესაძლებელი მოცემული კანონის ფარგლებში და რა პოტენციალი გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს ერთიან პორტალს გახდეს ერთიანი საინფორმაციო, ფინანსური სისტემა ლოკალურ დონეზე, ისეთი, როგორც არის მაგალითად ამადეუსი, ბლუმბერგი და სხვანი.

## მეთოდოლოგია

მოცემული სამეცნიერო ნაშრომისთვის ვიყენებთ შემდეგი სახის კვლევის მეთოდოლოგიას.

პირველ რიგში, სამეცნიერო კვლევა მიზანმიმართული იყო კანონპროექტის სარგებლის შეფასებისკენ, პრობლემების გაანალიზებისკენ, რომელიც საქართველოში არსებობს და ზღუდავს ბიზნესს იყოს თავისუფალ ბაზარზე და კონკურენტულ გარემოში მიაღწიოს წარმატებას. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების გათვალისწინება, დაისვა კითხვა, არსებობდა თუ არა საჭიროება ამ კანონპროექტის მიღებისა და რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს მან ბიზნესს და სახელმწიფო სტრუქტურებს.

კითხვის დასმის შემდეგ შევაფასეთ კანონის მიღების შემდგომი მოვლენები და მიმოვიხილეთ საერთაშორისო პრაქტიკა, ემპირიული ცოდნისა და ლოგიკური განსჯის საფუძველზე.

გამოყენებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ვიყენებთ აუდიტორების მიერ დამოწმებულ ფინანსურ მონაცემებს, რომლის საფუძველზეც ჩავატარეთ კვლევა და გამოვიტანეთ დასკვნა.

კვლევის მეთოდი შევარჩიეთ ინდუქციური მიდგომა, რადგანაც ვმუშაობდით ახალი საინფორმაციო ფინანსური ბაზის შექმნის შეფასებაზე, შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს ერთიანი პორტალიდან შევავსოვეთ მონაცემები გარკვეული სექტორებიდან, გამოვიყვანეთ სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც ტურიზმის სექტორის შემთხვევაში, შევაფასეთ ბაზრის მდგომარეობა, ხოლო ნავთობის ბაზრის შემთხვევაში, კვლევის შედეგად სახელმწიფო სექტორს დავანახეთ

შესაძლებლობა, თუ რა სარგებელი შეუძლია მიიღოს მოცემული კოეფიციენტების, სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით.

გამოვიყენეთ მეორადი, სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც დამოწმებულია საქართველოში სერტიფიცირებული აუდიტორების მიერ.

შერჩევის ბაზა ეფუძნებოდა, ტურიზმის სექტორის შემთხვევაში, საქართველოში მოქმედ მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროებს. ხოლო ნავთობის ბაზრის შემთხვევაში, ბაზარზე მოქმედ ლიდერ კომპანიებს. შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით, გეოგრაფიული ლოკაციების გათვალისწინებით.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად მოხდა მონაცემთა შეგროვება [reportal.ge](http://reportal.ge) დან, შემდგომში ფინანსური მონაცემების გადმოტანა და ანალიზი, რელევანტური კოეფიციენტების გამოყვანა, განზოგადება და დასკვნა.

დასკვნა: იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ამოქმედდა 2018 წლიდან, სრულფასოვანი შეფასების საშუალება არ მოგვეცა რა გავლენა იქონია კანონპროექტმა ეკონომიკაზე, მაგრამ კვლევის საფუძველზე შევაფასეთ პოტენციური სარგებელი, რაც შეუძლია მიიღოს სახელმწიფომ კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ.

## კვლევა

### *ტურიზმის სექტორის ანალიზი*

მოცემული კვლევის ფარგლებში ჩვენ დავანახეთ დაინტერესებულ მხარეებს თუ როგორ არის შესაძლებელი ფინანსური ინფორმაციით ბაზრის შესახებ, სარწმუნო ციფრებზე დაყრდნობით, ინფორმაციის მოპოვება, შეგროვება და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება.

ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებადი ინდუსტრიაა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, ტურიზმი საქართველოში 2018 წელს გაიზარდა, საერთაშორისო ვიზიტორების შემთხვევაში 10 % და ტურისტული ვიზიტების შემთხვევაში 17 %-ით. 2018 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის მონაცემებით ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 7.6%. თუ შევხედავთ დინამიკას ვიზიტორების რაოდენობა მზარდია, ვითარდება შესაბამისი ინფრასტრუქტურაც. საქართველოში, დღეის მონაცემებით, არის მაღალი კლასის სასტუმროები: თბილისი მარიოტი, ჰოთელს & პრეფერენს, რედისონ ბლუ ივერია, მილენიუმ ბილთმორი, ჰილტონი, შერატონ მეტეხი პალასი, ჰოლიდეი ინი, ქორთიარდ მარიოტი, ბესტ ვესტერნი, რიქსოს ბორჯომი. გარდა ამისა ბაზარზე ოპერირებს საშუალო კლასის სასტუმროებიც, რომელიც უმაღლესი ხარისხის სერვისს სთავაზობს მომხმარებლებს.

გამომდინარე აქედან, მოცემული სექტორი მიმზიდველია, როგორც ადგილობრივი ინვესტორებისთვის, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვისაც.

პოტენციურ დაინტერესებულ ინვესტორებს, რომლებსაც სურთ ტურიზმის სექტორში განახორციელონ კაპიტალდაბანდება, ბაზარზე შესვლამდე აუცილებელია საფუძვლიანი კვლევის ჩატარება, რათა სანყის ეტაპზევე იყოს იდენტიფიცირებული რისკები, რომელიც ამ სექტორს ახლავს თან. ბაზრის კვლევა დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან და კონფიდენციალური მონაცემების მოპოვებასთან, რაც გარკვეულ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, მაგრამ ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზის შექმნის შემდეგ (reportal.ge), შესაძლებელია კომპანიების ბრენდირებული და ადგილობრივი მაღალი კლასის სასტუმროების შესახებ ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციების მოპოვება და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ფინანსურ კოეფიციენტებს ბიზნესის შესაფასებლად იყენებენ გენერალური მენეჯერები, ბანკირები, ინვესტორები.

ფინანსური კოეფიციენტი არის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს ორ ფინანსურ ცვლადს შორის დამოკიდებულებას. ამ გზით დათვლის შემთხვევაში კოეფიციენტი გვიჩვენებს ბიზნესის, სექტორის მდგომარეობას. რელევანტური კოეფიციენტების ანალიზისთვის გამოიყენება კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მოგება - ზარალის უწყისი და ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

სასტუმროებისთვის რელევანტურ ფინანსურ კოეფიციენტებად მიიჩნევა:

- 1) მომგებიანობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. არსებობს მომგებიანობის კოეფიციენტის დათვლის მრავალი მეთოდი, მაგალითად, საერთო მოგების მარჟა, საოპერაციო მოგების მარჟა (ფინანსური ხარჯის გათვალისწინებამდე), მოგების გადასახადის გადახდამდე მოგების მარჟა.
- 2) ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც მიგვანიშნებს კომპანიის შესაძლებლობას დაფაროს/გაისტუმროს საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები. ლიკვიდობის კოეფიციენტი ითვლება ორი გზით. ლიკვიდობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებასთან



და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც მიმდინარე აქტივებიდან გამორიცხავს მარაგებს, რადგანაც მიიჩნევა, რომ სხვა ყველა აქტივთან შედარებით მარაგები ყველაზე ნაკლებად ლიკვიდური და ბრუნვადია.

- 3) კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი, რომლის მიმოხილვისას, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მოზიდულ სახსრებში, მათ შორის დამფუძნებლების ინვესტირებულში რა წილი უკავია სესხებს, ასევე რა ფინანსური დანახარჯი მოყვება კომპანიას ყოველი ლარის მოზიდვისას.
- 4) უკუგება შემოსავალზე, რომელიც გამოითვლება შემოსავლის შეფარდებით მთლიანი აქტივებზე, რაც რომ განვამოგადოთ მივიღებთ ყოველი ერთი ლარის აქტივზე რა შემოსავალი მოაქვს კომპანიას და შესაბამისობაშია თუ არა მოცემული უკუგება ინვესტორების/დამფუძნებლების მოთხოვნილთან.
- 5) ფულადი ნაკადების მიმოხილვა. გარდა ფინანსური კოეფიციენტებისა აუცილებელია ფულადი ნაკადების მიმოხილვა, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაშიფრულია ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური კომპონენტების შესაბამისად. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდებამდე შეფარდებით შემოსავალზე გვიჩვენებს ყოველ მიღებულ ერთ ლარზე რა ფინანსური მოგება რჩება (პროცენტების, გადასახადების და ცვეთის გაუთვალისწინებლად).

მოცემული რელევანტური კოეფიციენტების გათვალისწინებით გვაქვს შესაძლებლობა ჩავატაროთ ბაზრის კვლევა, რომელიც იქნება დაფუძნებული ანგარიშგებების რეესტირდანი თუ მიმოვიხილავთ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს, შეგვიძლია მივიღოთ გარკვეული წარმოდგენა/სურათი სექტორის შესახებ. დავყოთ მოცემული სექტორი ბრენდირებულ (საერთაშორისო ბაზარზე ოპერირებად კომპანიებად) და ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებად მაღალი კლასის სასტუმროებად.

ბრენდირებული სახელით მოქმედი სასტუმროები (იხილეთ გრაფიკი #6)

ადგილობრივი სახელით მოქმედი სასტუმროები (იხილეთ გრაფიკი #6.1)

მონაცემთა ანალიზი:

*ლიკვიდურობის კოეფიციენტი*; ლიკვიდურობის კოეფიციენტი თუ აღემატება 100 % ამ შემთხვევაში კომპანიას გააჩნია დადებითი მიმდინარე სამუშაო კაპიტალი, რომელიც გამოიყენება საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად. იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე სამუშაო კაპიტალი 100 % ნაკლებია, კომპანია მოიზიდავს დამატებით სახსრებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად, ან ვალდებულებების გადახდის გადავადებით ახდენს მოცემული უარყოფითი სამუშაო კაპიტალის კომპენსირებას.

სასტუმროების ლიკვიდობის კოეფიციენტების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ზოგადად მაღალი კლასის სასტუმროებს არ გააჩნიათ ლიკვიდობის პრობლემა, გარდა გარკვეული შემთხვევებისა, რომლის ანალიზის შედეგად დავასკვნით, რომ მიმდინარე ვალდებულებებში კომპანიებს აქვთ გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი, რომლის გადახდის ვადაც 1 წელზე ნაკლებია, შესაბამისად მოცემული ფაქტორიდან გამომდინარე კომპანიათა ლიკვიდობა 100 % ნაკლებია.

*სესხები - ლევერიჯის ანალიზი*; საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული სექტორისთვის ლევერიჯის ორი კოეფიციენტია აქტუალური. ერთი სესხები აქტივებთან მიმართებაში და სესხები მთლიანად მოზიდულ სახსრებთან მიმართებაში. გრძელვადიანი აქტივებთან მიმართებით არის რელევანტური რადგანაც, სესხების ძირითად მიზნობრიობას წარმოადგენს შენობის აშენება და კეთილმოწყობა. ამ კოეფიციენტის მიმოხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასტუმროების უდიდესი ნაწილის შენობები დაფინანსებულია გრძელვადიანი სესხით, უფრო მეტიც ზოგ შემთხვევაში სესხების მთლიანი მოცულობა აღემატება შენობების საბალანსო ღირებულებას. მოზიდული სახსრების სტრუქტურაც ძირითადად მიღებული სესხებით არის ფორმირებული.

*შემოსავალი აქტივებზე;* ROA (Return on Assets) კოეფიციენტის მიმოხილვისას, უკუგება აქტივებზე შეადგენს 10 – 40 % მერყეობს, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი ფორმირდება ყოველი დაბანდებული აქტივის 10 – 40 % ით.

*საოპერაციო მოგების მარჟა* - როგორც ანალიზიდან გამოჩნდა კომპანიის საქმიანობა მთლიან დამოკიდებულია გარე წყაროდან დაფინანსებაზე, შესაბამისად რელევანტურია საოპერაციო მოგების მარჟის მიმოხილვა, რომელშიც არ გაითვალისწინება ფინანსური ხარჯი. ბრენდირებული სასტუმროების შემთხვევაში, გარდა Holidan Inn - სა, საოპერაციო მოგების მარჟა უარყოფითია, რაც გულისხმობს საოპერაციო ზარალს. ადგილობრივი სახელით მოქმედ მაღალი კლასის სასტუმროების შემთხვევაში კი საოპერაციო მოგების მარჟა დადებითია, საშუალოდ (იოტას გამოკლებით) 15-30 % მდე, რაც დამაკმაყოფილებელია.

*ფინანსური ხარჯის დაფარვის კოეფიციენტი* - სესხების და ფინანსური ხარჯის სიდიდიდან გამომდინარე, სექტორისთვის რელევანტურია ფინანსური ხარჯების დაფარვის კოეფიციენტის გაგება, რომელიც გულისხმობს რამდენჯერ მოახდენს საოპერაციო მოგებიდან კომპანია ფინანსური ხარჯის გასტუმრებას. მარტივად იდენტიფიცირებადია, რომ სექტორისთვის ფინანსური ხარჯები წარმოადგენს ყველაზე უფრო ყურადსაღებ საკითხს.

*საოპერაციო ფულადი ნაკადების შეფარდება შემოსავალთან* - გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიებს გააჩნიათ დიდი ღირებულების ძირითადი საშუალებები, ანალიზისთვის აუცილებელია ცალკე გამოვყოთ და დასკვნის ფორმირებისთვის გავითვალისწინოთ საოპერაციო ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის და ფინანსური ხარჯის გადახდამდე შეფარდება შემოსავალთან. რაც გულისხმობს ყოველი ერთი ლარის შემოსვლიდან კომპანიას რა სარგებელი რჩება ფინანსური ვალდებულებების დაფარვამდე. ამ კომპონენტში სექტორში სტაბილური მდგომარეობაა, რაც გულისხმობს და ცხადყოფს სექტორის მთავარ პრობლემას სესხებსა და ფინანსურ ხარჯებს.

დასკვნა: შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სექტორი არის მზარდი, განვითარებადი, რაზეც მიუთითებს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები.

თვითონ სექტორი საკმაოდ კონკურენტულია, რაც გამოიხატება ძალიან დიდი რაოდენობით ბრენდირებული სასტუმროებით, ასევე ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი სახელით მაღალი კლასის სასტუმროებით, პატარა ჰოსტელებით. მომხმარებელს აქვს არჩევანის საშუალება კლასის, კომფორტის, ბრენდის, ხარისხისა და ფასის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება.

ზოგადად, სექტორი ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვის შედეგად არის სტაბილური და საოპერაციო ფულადი ნაკადები ძირითად შემთხვევაში არის დადებითი. სექტორის მთავარ პრობლემად მოკლევადიან პერსპექტივაში შეგვიძლია მივიჩნიოთ სესხები და ფინანსური ხარჯები, რომელიც საბოლოო ჯამში ამახინჯებს სექტორის სურათს. მაგრამ სექტორის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია სანყისი კაპიტალური დანახარჯების გარეშე მაღალი კლასის სასტუმროს შექმნა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაღალი კლასის სასტუმროები ორიენტირებულები არიან გრძელვადიან პერსპექტივაზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ დაბანდებული სახსრების ამოღებას და დივიდენდების მიღებას.

შესაბამისად, სექტორის მიმზიდველობიდან და მომგებიანობიდან გამომდინარე, არსებობს საშუალება, რომ უცხოურმა საინვესტიციო ჯგუფებმა, მაღალი კლასის სასტუმროებმა მოახდინონ ფულის ინვესტირება საქართველოს ბაზარზე, რაც გაზრდის სექტორში კონკურენციას, ეკონომიკაში კი კონტრიბუციას. ამ შემთხვევაში ვითვალისწინებთ იმ ფაქტორებსაც, რომ საქართველოში ბიზნესის კეთება მარტივია, რაზეც “Doingbusiness” რეიტინგიც მიუთითებს, შემცირებულია ბიუროკრატია და კანონის ამოქმედების შემდეგ, კომპანიების ფინანსური მონაცემები გამჭვირვალე გახდება.

## *საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები*

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული საგადასახადო პოლიტიკაა სახელმწიფოს მხრიდან. არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას, ამცირებენ გადასახადების რაოდენობასა და განაკვეთს, რათა მიზიდველები გახდნენ უცხოური ინვესტიციებისთვის, მაგალითად, ე.წ. ოფშორული ქვეყნები (საქართველოს საგადასახადო კოდექსი), სადაც მოგების გადასახადის განაკვეთი 5 % ან ნაკლებია. ამ პირობებიდან გამომდინარე განვითარებულ ქვეყნებს გაუჩნდათ საჭიროება ემსჯელათ საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებზე (Transfer pricing), რადგანაც ბიზნეს სუბიექტებს უჩნდებათ მოტივაცია, მოახდინონ საერთაშორისო გარიგებების შედეგად თანხებით მანიპულირება და მოგება გადაანაწილონ ისეთი ქვეყნებისკენ, სადაც ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკაა და შესაბამისად მოგების დაბეგვრაც ნაკლები განაკვეთით ხდება.

მე-20 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო მოცემული ოპერაციების შესწავლა და შეფასება რიგი ქვეყნების მიერ, მათ შორის საქართველოში მოხდა კანონის მიღება 2013 წელს (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 423 - საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე), რომლის ადმინისტრირებაც დაევალა საგადასახადო ორგანოს, რათა დამფუძნებელ/დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები შესწავლილი ყოფილიყო და დამტკიცებულიყო, რომ მოცემული ოპერაციები განხორციელებულიყო საბაზრო პრინციპების დაცვით.

თავის მხრივ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მითითების შესაბამისად ოპერაციები უნდა განხორციელდეს „გამლილი ხელის პრინციპით“ (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24; გვერდი 7), რაც გულისხმობს გარიგებას, საბაზრო პრინციპების დაცვით. ასევე ზემოთ აღწერილი რისკებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ფინანსური სტანდარტები აღკვეთს ამ რისკს, რადგანაც

ბულალტრული აღრიცხვის 24-ე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, სავალდებულოა დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების გაშიფვრა განმარტებით შენიშვნებში, რათა მისი მომხმარებელი ინფორმირებული იყოს და შესაძარისად შეძლოს კომპანიის ოპერაციებისა და დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების გაშიფვრა/გამიჯვნა.

(ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24, გვერდი 2;3) - ის მიხედვით: „დაკავშირებული მხარე არის პირი ან სანარმო, დაკავშირებული იმ სანარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული სანარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული სანარმო“).

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული სანარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ სანარმოს;

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ სანარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული სანარმოს ან მისი მშობელი სანარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) სანარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული სანარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს სანარმო და ანგარიშვალდებული სანარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი სანარმო, შვილობილი სანარმო და იმავე მშობელი სანარმოს სხვა შვილობილი სანარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთ-ერთი სანარმო არის მეორის მეკავშირე სანარმო ან ერთობლივი სანარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე სანარმო ან ერთობლივი სანარმო, რომლის წევრიც არის მეორე სანარმო);

- (iii) ორივე სანარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ სანარმოს;
- (iv) ერთი სანარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე სანარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე სანარმოა;
- (v) ეს სანარმო არის ან ანგარიშვალდებული სანარმოს, ან ანგარიშვალდებულ სანარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული სანარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელ-სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული სანარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ სანარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ სანარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული სანარმოს (ან მისი მშობელი სანარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს სანარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა სანარმო, რომელსაც მოცემული სანარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ სანარმოს, ან ანგარიშვალდებული სანარმოს მშობელი სანარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას“.

პრემიერ-მინისტრის # 423 ბრძანების შესაბამისად, საგადასახადო ორგანოსთვის გაჩნდა დამატებითი საკვლევი ობიექტი, საერთაშორისო ფინანსური კონტროლირებადი ოპერაციები. საგადასახადო ორგანო ხარჯავდა და ხარჯავს დიდ დროით და ადამიანურ რესურსს მოცემული ოპერაციების, პირველ რიგში, იდენტიფიცირებისთვის, შესწავლისთვის და შემდეგ ოპერაციის საბაზროს პრინციპის შესაბამისობასთან შედარებისთვის.

სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ, საჯარო ანგარიშგებები, რომლებიც მომზადდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაშიფრული იქნება ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, შესაბამისად საგადასახადო ორგანოსთვის ერთიანი ფინანსურ ანგარიშგებათა ბაზის შექმნის შედეგად (reportal.ge), გამარტივდება საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების გაკონტროლება.

სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებების კანონმდებ საგადასახადო ორგანოს საერთაშორისო ოპერაციების გასაკონტროლებლად უწევდა სრული საგადასახადო შემოწმება, რომელშიც ჩართული იყო 5 მდე თანამშრომელი, შემდეგ უნდა შეფასებულიყო საერთო და საოპერაციო მოგების მარჟები, ამის შემდეგ ერთიანი მონაცემთა ბაზის (Amadeus) მიხედვით, (რომლზეც წვდომაც აქვს საგადასახადო ორგანოს) მოხდებოდა შედარება სექტორების შესაბამისად, რამდენად ადეკვატურია ფინანსური კოეფიციენტები და რამდენად შეესაბამება გარიგებები საბაზროს პრინციპს.

თავის მხრივ, რთულ ოპერაციებს წარმოადგენდა და დამატებით თავსატეხს უქმნიდა თავად კომპანიებსაც საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები, რათა სწორად აღერიცხათ და შეეფასებინათ ისინი. მოცემული კუთხით შეიქმნა სხვადასხვა კომერციული კომპანიები, რომლებიც სთავაზობდნენ მომსახურებას, სწორად შეეფასებინათ საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები, მათ შორის საქართველოშიც (ძირითადად ასეთ მომსახურებას სთავაზობენ აუდიტორული კომპანიები). მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული და ცნობილი კომპანიაა „RoyaltyRange“, რომელიც არის ანგარიშგებების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მარჟები და ხდება შედარება საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების სხვადასხვა სექტორების შესაბამისად საერთაშორისო დონეზე.

ყველაზე უფრო რთულ და რისკიან ოპერაციებს წარმოადგენს გარკვეული მომსახურების მიღება დაკავშირებული მხარისგან, რადგანაც ტრანზაქციის ფასები მომსახურების შემთხვევაში განსხვავებულია და დამოკიდებულია განუელ პრომით და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებულ დანახარჯებზე, შესაბამისად მომსახურების ფასის



საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობის დადგენა რთულია. შესაძლოა კომპანიას დაკავშირებული მხარე უწევდეს სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებას და ამის ნაცვლად იღებდეს ანაზღაურებას. საგადასახადო ორგანოს ევალუბოდა მოცემული კანონის ძალაში შესვლამდე, გამოეკვლია დაკავშირებული მხარე, შემდეგ ტრანზაქციის ტიპი, გარიგების ფასი და ამის შემდეგ მოეხდინა საბაზრო პრინციპებთან შედარება.

რა თქმა უნდა, საჯარო ანგარიშგებები არ არის იმის გარანტია, რომ საგადასახადო ორგანო მარტივად შეძლებს აღმოაჩინოს ასეთი ოპერაციები, მაგრამ სანცის ეტაპზე შეიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ტრანზაქციების შინაარსზე, ფასზე, კომპანიის მდგომარეობაზე, რომელიც უფრო მეტად ეფექტიანს გახდის საგადასახადო ორგანოს მუშაობას, დაზოგავს მეთ დროს და საკვლევ ობიექტსაც მარტივად აღმოაჩენს.

### ***კონკურენციის სააგენტო***

ერთიანი ფინანსური ანგარიშგებების ბაზის შექმნა (reportal.ge), ანუ სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაუადვილებს მუშაობას კიდევ ერთ სახელმწიფო უწყებას, კონკურენციის სააგენტოს, რომელიც თავის მხრივ სწავლობს ბაზარზე არსებულ ვითარებას და ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას საქართველოში.

საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, რომლის ეკონომიკა საჭიროებს ხელშეწყობას. ხელშეწყობა გულისხმობს ბიზნესის თავისუფლებას, კონკურენციის ზრდას, რასაც თავისი შინაარსიდან გამომდინარე არეგულირებს კონკურენციის სააგენტო.

ყველაზე უფრო მეტად სააგენტო, ანუ მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ებრძვის დემპინგურ ფასებს, რომელიც გულისხმობს დიდი ინვესტიციის მქონე კომპანიების მიერ პროდუქტის თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად რეალიზაციას, რათა ბაზარზე არსებული კონკურენტები ჩამოიშოროს და გახდეს ბაზრის

მონოპოლისტი. მონოპოლია კი საბოლოო ჯამში დაღს ასვამს განვითარებად ეკონომიკას და ზღუდავს მას. მოცემული ფაქტის შესწავლისთვის კონკურენციის სააგენტო ამოწმებს კომპანიებს სრულად რათა დაადგინოს, რამდენად ადეკვატურია სარეალიზაციო ფასი თვითღირებულებასთან მიმართებაში და ხომ არ ხდება ფასების ხელოვნურად შემცირება კონკურენტების ჩამოშორების მიზნით.

საგადასახადო ორგანოს საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შემოწმების მსგავსად, მოცემული ოპერაციებიც მოითხოვს დიდ რესურს შესამოწმებლად. როგორცაა საჯარო ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც ერთიანობაში ქმნის ფინანსურ ანგარიშგებათა ბაზას საქართველოში, შესაძლებელია მოცემული ოპერაციების იდენტიფიცირება და სარისკო არეების გამოვლენა. მაგალითად, საერთო მოგებისა და საოპერაციო მოგების მარუების ანალიზის მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარებადი ეკონომიკა ზღუდავს ბაზრების განვითარების შესაძლებლობას, არსებობს საზოგადოების უკმაყოფილება გარკვეული სექტორების მიმართ. ისეთები როგორცაა, ფარმაცევტული, ნავთობის, სატელეკომუნიკაციო და საბანკო. რომლის ბაზარზეც რამდენიმე მოთამაშეა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ რამდენიმე მოთამაშიდან არიან გამოკვეთილი ლიდერები, არსებობს ეჭვი და რისკი, რომ მათ იმოქმედონ გარკვეული შეთანხმებების საფუძველზე, შევიდნენ კარტელურ გარიგებაში და საბაზრო კონკურენციის პრინციპები დაარღვიონ.

აღნიშნული საკითხის რეგულირებაც თავის მხრივ კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს ევალება.

(გრაფიკი #7) მოცემული კვლევით, ჩვენ დავანახეთ თუ რა სარგებელი შესაძლოა მოუტანოს ერთიან ფინანსურ ანგარიშგებათა ბაზამ სახელმწიფო სექტორს. მოგების მარუების ანალიზის შესაბამისად, სხვადასხვა სექტორში შესაძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი ბაზრის ლიდერი კომპანიების მოქმედებები არის იდენტური საფასო პოლიტიკაში, ასევე შესაძლებელია იმის დანახვაც, თუ კომპანიების

მოგების მარუები 0 % - ს უახლოვდება, არსებობს რისკი, რომ სუბიექტები ახდენდნენ საკუთარი პროდუქციის თუ მომსახურების რეალიზაციას დემპინგური ფასებით, რაც მათი მხრიდან ბაზარზე მონოპოლიის მოპოვების განზრახვაა, რეალურად კი ეს ეკონომიკის განვითარებისთვის შემთავრხებელი ფაქტორია.

მსგავსი ფინანსური კვლევის ჩატარება, სარწმუნო ციფრებზე დაყრდნობით, კონკურენციის სააგენტოს შეეძლება სხვადასხვა სექტორებზე. მაგალითად როგორცაა: ფარმაცევტული და სატელეკომუნიკაციო ბაზარი. სადაც ოპერირებს რამდენიმე კომპანია და მათგან ყველაზე უფრო წარმატებულ კომპანიებთან არსებობს კითხვები, როგორც საზოგადოების ასევე სახელმწიფოს მხრიდან. ანგარიშგებების მიმოხილვის შედეგად დაიდენტიფიცირდება სარისკო კომპანიები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება შემონმების შესახებ. ამით კონკურენციის სააგენტო დაზოგავს დროით რესურს, რათა შემონმდეს ისეთი კომპანიები, რომლებიც რეალურად არ არღვევენ კანონს.

ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვაფასებთ, მოცემული ციფრების შესაბამისად, ჩვენ ვანახებთ შესაძლებლობას, თუ რა სარგებელი შეუძლია მიიღოს სახელმწიფო სექტორმა კანონის მიღების შემდეგ, ერთიანი ფინანსური ანგარიშგებების ბაზიდან ინფორმაციის დამუშავებითა და ანალიზით.

## სირთულეები დაკავშირებული კვლევასთან

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გვსურდა შეგვეფასებინა კანონის სარგებელი და გავლენა ეკონომიკაზე, ბიზნეს სექტორზე, სახელმწიფოზე, მოსახლეობაზე. მაგრამ, კვლევის სრულფასოვნად ჩატარებაში გაჩნდა გარკვეული სირთულეები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული კანონი ძალაში შევიდა და სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან. აქედან გამომდინარე, არასაკმარისი დროის გასვლის შემდეგ რთულია პირდაპირ კორელაციის შეფასება, თუ როგორი გავლენა იქონია კანონმა ეკონომიკაზე და სტატისტიკური ციფრებზე. ამის შეფასება მოგვიანებით იქნება შესაძლებელი, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში.

გარდა ამისა, გვსურდა კვლევა ჩაგვეტარებინა უფრო მეტ სექტორზე, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო ერთიანი ფინანსური ანგარიშგებათა ბაზის სარგებელი და გამოყენების მრავალი მიმართულება. მაგრამ სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა ბიზნესისთვისაც რთული გახდა პირველივე წელს, შესაბამისად ჯერ კიდევ არ არის დასრულებული 2017 წლის ფინანსური ანგარიშგებების შეგროვება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიან პორტალზე (reportal.ge).

## **შედეგების ინტერპრეტაცია**

### ***შეფასების მიზანი***

მოცემული სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში ჩვენ გვსურდა შეგვეფასებინა შეასრულა თუ არა სახელმწიფო სექტორმა აღებული ვალდებულებები ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ასევე გვეჩვენებინა კანონმდებლობის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზის შექმნის შედეგად რა პოტენციური სარგებელი შეუძლია მიიღოს სახელმწიფომ და ბიზნეს სექტორმა.

### ***ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისობა***

მოცემული კანონის ეფექტიანობის შეფასებამდე, აუცილებელია იმის მიმოხილვა შეესაბამება თუ არა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ კანონი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება სრულად მოხდა, კომპანიათა კატეგორიზაციის ნაწილში, ასევე მარეგულირებელი ორგანოს ნაწილში, რომელსაც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭო. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭო თავის მხრივ აკონტროლებს აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს, რათა მათი საქმიანობა იყოს რეგულირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და არ დაირღვეს ფინანსური აუდიტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი დამოუკიდებლობა.

გარდა ფინანსური ანგარიშგებებისა, მოცემული კანონპროექტის შესაბამისად კომპანიებს მოეთხოვებათ, მენეჯერული ანგარიშის წარდგენაც, რაც თავის მხრივ კორპორატიული კულტურის ამაღლებისკენ არის მიზანმიმართული.

### *საერთაშორისო პრაქტიკა*

საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 166 ქვეყნიდან , 87 % ქვეყნებში სავალდებულოა რეგისტრირებულმა საჯარო კომპანიებმა გამოიყენონ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (გრაფიკი #4; გრაფიკი #5). დარჩენილი 22 ქვეყანა ძირითადად წარმოადგენს განვითარებად და განუვითარებელ ქვეყნებს. საქართველოსთან პარალელის გავლების შემთხვევაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გრაფიკის შესაბამისად 2018 წლის მონაცემებით (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) პირველ ათეულს მოიცავენ ის ქვეყნები, სადაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოქმედებს (გრაფიკი N 2), შესაბამისად მათთვის ადვილად აღსაქმელია ის ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც მომზადდება მოცემული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები არის უმაღლესი ხარისხის ფინანსური სტანდარტები, რომლის სავალდებულო დანერგვასაც აქვს გავლენა ეკონომიკაზე. პირველ რიგში, ზრდის გამჭირვალობას, ამცირებს ინფორმაციის ასიმეტრიულობის რისკს და ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

კაპიტალის ღირებულება არის კოეფიციენტი/პროცენტი თუ რამდენი უჭდება კომპანიას ყოველი ლარის მოზიდვა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დაკრედიტების ბაზარი ბანკებს აქვთ მონოპოლიზირებული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მათი ტრანსფერებით და დახმარებით საქმიანობენ, (საერთაშორისო მონეტარული ფონდი, გვერდი 5), საფონდო ბაზარი არ არის განვითარებული, ხოლო საბროკერო კომპანიები, რომელიც საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ არის რეგისტრირებული (ცხრა) უმეტეს

მათგანში იკვეთება ბანკების ინტერესები, ყველა ამ მიზნის გათვალისწინებით, საქართველოში დაფინანსების მოპოვება საკმაოდ მაღალ პროცენტშია შესაძლებელი. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სავალდებულო დანერგვა, გახსნის და განავითარებს საფონდო ბირჟას, ხელმისაწვდომი გახდება სხვა ფულით ბაზრის მონაწილეებისთვის დაკრედიტება, შემცირდება ბიზნეს სუბიექტებისთვის მოზიდული სახსრების დანახარჯები, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს კომპანიებისთვის კაპიტალის ღირებულების შემცირებას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მეტ კონტრიბუციას შექმნის ეკონომიკაში.

შესაძლებელია პარალელის გავლება რუმინეთთან, რომელმაც მსგავსი გზა გაიარა, როგორც საქართველომ. მათთან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები დაინერგა 1999 წლიდან, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის თანადგომით. რუმინეთში სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დანერგვის შემდეგ დაფიქსირდა პირდაპირი კორელაცია კაპიტალის ღირებულების შემცირებასა და ეკონომიკის ზრდას შორის. (Stere MIHAI, Mihaela IONASCU and Ion IONASCU, გვერდი 204)

თავის მხრივ კაპიტალის ღირებულების შემცირება, ხელს უწყობს აქციის ფასის ზრდას, რაც შემდგომში ზრდის კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციას. მოცემულია რუმინეთის მაგალითი ფასს - ების სავალდებულო გამოყენებამდე და მის შემდეგ. (გრაფიკი #8)

### **ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები**

გარდა მოცემული მაგალითისა შეგვიძლია შევაფასოთ და დაშვება გავაკეთოთ თუ როგორ შეუძლია სახელმწიფო სექტორს, მოცემული კანონმდებლობა გამოიყენოს ბიზნესის სტიმულირებისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და ყველა რეფორმა თუ ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ეკონომიკური კუთხით

მიმართულია ბიზნესის მხარდაჭერისკენ, რადგანაც ფაქტობრივად შეუძლებელია მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ხარჯავს უამრავ დროით და ფულად რესურს რათა მხარი დაუჭიროს ბიზნესს. არსებობს არაერთი ქართული და საერთაშორისო მხარდაჭერის პროგრამები, რომელიც უბიძგებს მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებისკენ.

მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური არის საქართველოს მთავრობის ეგიდით წამოწყებული კამპანია „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ასტიმულირებს წარმოებას ადგილობრივ ბაზარზე.

გარდა ამისა არსებობს საერთაშორისო პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკი, ასევე საქართველოში მოქმედი უცხოური ჰოლდინგებიც.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში არსებობს ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები („აწარმოე საქართველოში“ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები)

EU4Business, EIB და EIF პროკრედიტ ჰოლდინგის მეშვეობით ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას EU4Business ინიციატივის ფარგლებში. შეთანხმება, რომელსაც ხელი უკვე მოეწერა, ითვალისწინებს 100 მილიონი ევროს ინვესტიციას საქართველოში, მოლდავეთსა და უკრაინაში.

პროექტი „მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და მას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს.

DCFTA-ს ხელშეწყობის პროგრამა (200 მლნ ევროს მოცულობით) ემსახურება საქართველოში, მოლდავეთსა და უკრაინაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას.



პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, EBRD-მა სს „საქართველოს ბანკს“ გამოუყო პირველი ტრანში - 50 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით. სესხები გაიცემა ეროვნული ვალუტით, ხუთწლიანი საშელავათო პერიოდით. მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვისათვის პროგრამის ბენეფიციარებს ექნებათ კონსულტაციის მიღების საშუალება.

ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), მენარმეებს ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი ქვეყნებიდან და შვეიცარიიდან სთავაზობს მდგრადი განვითარების პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერას და დაფინანსებას.

EU4Business - EBRD საკრედიტო ხაზი წარმოადგენს ევროკავშირისა და EBRD-ის ერთობლივ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინვესტიციების დაფინანსებას, რაც მათ საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში არსებული შესაძლებლობები.

ევროკავშირი საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის დახმარებით. პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მის მიზანს, სოფლად სიღარიბის შემცირება წარმოადგენს. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას, და ასევე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ეს მხოლოდ და მხოლოდ პროგრამების მცირე ჩამონათვალია, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე, სადაც შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია დაფინანსებების შესახებ და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გახდეს პროგრამის ბენეფიციარი.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამების შემუშავებაში და სექტორის შერჩევაში ჩართულია საქართველოს მთავრობის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლობა, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას თუ რომელ სექტორს სჭირდება ყველაზე მეტად თანადგომა და სტიმულირება. ძირითადად მთავრობა

იყენებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს საკუთარი აქტივობების დაგეგმვის დროს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პორტალზე ბიზნეს სუბიექტები ავსებენ ინფორმაციას ყოველკვარტლურად/ყოველწლიურად, რომელსაც შემდეგ უწყება ამუშავებს და განაზოგადებს მთლიან სექტორზე. მოცემული ინფორმაციის სანდოობა არის საკმაოდ დაბალი, აქედან გამომდინარე ხშირად ხდება მცდარი სურათის განზოგადება.

კანონის ამოქმედების შემდეგ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ექნება სარწმუნო, აუდირებული ფინანსური ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც შეეძლება როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე ეკონომიკური მიმართულების სამინისტროებს, რათა დაგეგმონ საკუთარი აქტივობები. დააიდენტიფიცირონ დასაფინანსებელი სექტორები, რომლის შედეგადაც გადანყვეტილება უფრო სწორი და მიზანშეწონილი იქნება. ერთ-ერთი სექტორის მაგალითზე ჩვენს ჩავატარეთ კვლევა და შევიქმენით გარკვეული მოლოდინები ტურიზმის სექტორის შესახებ.

### ***საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება:***

მოცემული საკანონმდებლო რეგულაცია უმარტივებს ინვესტორებს ფულის ინვესტირების გადანყვეტილების მიღებას. რადგანაც I და II კატეგორიის საწარმოებს მოეთხოვებათ მოამზადონ ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (SME), დაშვებულია მხოლოდ II კატეგორიებისთვის). ასეთ შემთხვევაში ინვესტორები დაზღვეულნი არიან და რისკი დაყვანილია მინიმუმამდე, არსებითი შეცდომისა და თაღლითობისგან, რომელზეც აუდიტორი გამოთქვამს მოსაზრებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გრაფიკი (2005-2017) წლების მონაცემებით (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

სტაბილურად მზარდია, მოცემულმა კანონპროექტმა თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს პოზიციების განმტკიცება და ქვეყანაში მეტი უცხოური ინვესტიციის შემოღინება.

საერთაშორისო მონეტარული ფონდის დასკვნის მიხედვით (2015), საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება დაიწყო მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისიდან, რადგანაც მანამდე ქვეყანას არ ჰქონდა „გამჭირვალე“ სტატუსი, რაც ფინანსების უკანონო მიმოქცევითა და კორუფციის მაღალი დონით იყო განპირობებული. ამაზე მიუთითებს ეროვნული ბანკის მონაცემებიც, 2005 წელს მხოლოდ 500 მილიონი აშშ დოლარი იყო შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სახით, 2017 წლის მონაცემებით კი მოცემული თანხა თითქმის 4 ჯერ გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი #2).

### ***პროფესიული კადრების გადამზადება***

კანონმდებლობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად სახელდება პროფესიული კადრების ნაკლებობა, ამ მხრივაც საზედამხედველო ორგანოს მიზანს წარმოადგენს კადრების გადამზადება. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ყოველწლიურად განიცდის მოდიფიკაციას, სტანდარტები იხვეწება, ხდება მათი ჰარმონიზაცია განვითარებული ქვეყნების ადგილობრივ სტანდარტებთან. საკითხები უფრო კომპლექსური ხდება, რათა საბოლოო ჯამში კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები უტყუარად და სამართლიანად ასახავდეს კომპანიის მდგომარეობას. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს გადანაცვებით, პერიოდულობით მოხდება სერტიფიცირებული აუდიტორებისთვის ლექციების/სემინარების ჩატარება, რომელსაც მათ შორის უცხოელი გამოცდილი სპეციალისტები ატარებენ და მიმოიხილავენ ცვლილებებს/მოდიფიკაციებს აღნიშნულ სექტორში. საზედამხედველო საბჭოს ინიციატივით განვითარდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ქართულად თარგმნას, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელონ აუდიტორებმა/აუდიტორულმა ფირმებმა ფინანსური

ანგარიშგების ქართულად წარდგენის შემთხვევაში (saras.gov.ge; წარმოდგენილია ყველა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსია) .

### **ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზა**

ერთ-ერთი ყველაზე დიდი სარგებელი, რომელიც კვლევის ფარგლებში ყველაზე უფრო მასშტაბურად მიმოვიხილეთ, იქმნება ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსდება საქართველოში წამყვანი ბიზნეს სუბიექტების ფინანსური ინფორმაცია, რომელიც იქნება საჯარო და შეეძლება ყველა დაინტერესებულ მხარეს გამოიყენოს ის (reportal.ge).

საილუსტრაციოდ ჩავატარეთ კვლევა და მიმოვიხილეთ რამდენიმე სექტორი. აღსანიშნავია, რომ ფინანსური ანგარიშგებების ბაზა სასარგებლო იქნება, როგორც სახელმწიფო სექტორისთვის, რომელიც ჩვენი შეფასებით გაზრდის მათ ეფექტიანობის მაჩვენებელს დროის დაზოგვის კუთხით, ასევე ბიზნეს სუბიექტებისთვისაც, რომლებსაც შეეძლებათ გაანალიზონ საკუთარ სექტორი, შეისწავლონ კონკურენტების პოზიციები, მიმოიხილონ მათი ფინანსური მონაცემები და მათზე დაყრდნობით დაგეგმონ საკუთარი სტრატეგია. ჩვენი მოსაზრებით საჯარო ფინანსური ანგარიშგებები გაზრდის კონკურენციას ქვეყნის მასშტაბით, ასევე პოტენციური ინვესტორები დააიდენტიფიცირებენ მომგებიან სექტორებს და ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას რომელ სექტორში დააბანდონ ფინანსური სახსრები.

## კომერციული სტარტაპი

პირველ რიგში კანონის გამონწვევებიდან გამომდინარე დავინტერესდით საკვლევი თემით. ასევე დავადგინეთ, რომ საერთაშორისო კომერციული ფინანსური მონაცემთა ბაზები, რომელიც მიმოხილულია კვლევის ფარგლებში (ამადეუსი, ბლუმბერგი, Royalty Range), იყენებენ სწორედ აუდირებულ ფინანსურ მონაცემებს, რომლებსაც შემდეგ ფილტრავენ და ყიდიან მას ბიზნეს სუბიექტებზე, როგორც პროდუქტს.

საქართველოში იქმნება საჯარო ფინანსური ანგარიშგებათა ბაზა (Reportal.ge), რომლის გამოყენებაც შეეძლება ყველა დაინტერესებულ მხარეს, მაგრამ განსხვავებით ზემოთ მიმოხილული მონაცემთა ბაზებისგან, ეს ინფორმაცია დამუშავებული არ იქნება, დაინტერესებულმა პირმა თავად უნდა მოახდინოს ინფორმაციის მოპოვება, დაჯგუფება სასურველი სექტორის, ლოკაციის მიხედვით და შემდეგ განაზოგადოს ის.

კვლევის ფარგლებში ჩვენ დავინახეთ შესაძლებლობა, იმისა რომ საქართველოში შეიქმნას კომერციული სტარტაპი, რომელიც სანცის ეტაპზე იქნება ლოკალური, ტექნიკურად და შინაარსობრივად იქნება მსგავსი ამადეუსისა.

კომერციული სტარტაპის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: სტარტაპი თავად მოახდენს ანგარიშგებების მოპოვებას, დაახარისხებს სიდიდის, ლოკაციის, სექტორების მიხედვით, გამოითვლის სექტორების შესაბამისად რელევანტურ ფინანსურ კოეფიციენტებს, ჩაატარებს ბაზრის კვლევას/ანალიზს, რომელსაც შემდგომ, როგორც პროდუქტი მიანვდის ბიზნეს სუბიექტებს. ისე როგორც მოცემულია ჩვენი კვლევის ფარგლებში.

ჩვენი შეხედულებით, მოცემული სტარტაპის განხორციელების შემთხვევაში მათი მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ, როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლები ასევე სახელმწიფო სექტორი. საგადასახადო ორგანო დღეის მდგომარეობითაც ყიდულობს ამაღეუსისგან მომსახურებას და იხდის საზღაურს, სექტორების მიხედვით რელევანტური ფინანსური ინფორმაციის მოპოვებაში.

ასევე არსებობენ ბიზნეს სუბიექტები, რომლებიც იყენებენ ფინანსურ ინფორმაციასა და საკონსულტაციო მომსახურებას საერთაშორისო აუდიტორული ფირმებისგან.

სტარტაპის განხორციელების შემთხვევაში, საქართველო თავის მხრივ, მხარს აუბამს მსოფლიოს განვითარებას მონაცემთა ბაზების კუთხით.

## რეკომენდაციები

ჩვენი მთავარი რეკომენდაციაა, რომელიც შეგვიძლია გავცეთ სახელმწიფო სექტორის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საბჭოს მიმართულებით, არის ის, რომ მოცემული კანონის ფარგლებში იყოს ეფექტიანი აღსრულება. რაც გულისხმობს ბიზნეს სუბიექტების დავალდებულებას, ოპერაციების აღრიცხვას ფასს - ების შესაბამისად და სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებას. მოცემული რეკომენდაცია გახდა აქტუალური თემის კვლევის ფარგლებში, რადგანაც დავაიდენტიფიცირეთ, რომ ფასს - ების სავალდებულო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოში 2000 წლიდან, მაგრამ არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც დაავალდებულებდა ბიზნეს სუბიექტებს, რათა აღრიცხვა ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საბჭოს შექმნა უზრუნველყოფს კანონის აღსრულების ეფექტიან მექანიზმს. ხოლო, მისი არ წარდგენის შემთხვევაში განსაზღვრული იქნება ფინანსური სანქციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით.

2019 წლიდან იგეგმება მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის (გრაფიკი #1) სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (saras.gov.ge; კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ) გამარტივებული ფინანსური სტანდარტების შესაბამისად. მოცემულ კატეგორიებს არ აქვთ ვალდებულება წარადგინონ ანგარიშგება აუდიტორულ დასკვნასთან ერთად, აქედან გამომდინარე მათ მიერ წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია, ნაკლებად სარწმუნო იქნება პირველ და მეორე კატეგორიის ანგარიშგებებთან შედარებით დაინტერესებულ პირთათვის. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაცია იქნება, რომ სამომავლო პერსპექტივაში, საწყის ეტაპზე მხოლოდ მე - 3 კატეგორიებისთვის სავალდებულო გახდეს აუდიტორული ანგარიშგების წარდგენა. მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, საქართველოში გაიზრდება ბიზნეს სუბიექტების მასშტაბი, რომელსაც გამოქვეყნებული იქნება სარწმუნო, აუდიტორული ფინანსური ინფორმაცია.

ჩვენი რეკომენდაციები ძირითადად მდგომარეობს კანონის ეფექტიანად აღმინისტრირებაში და უფრო გამკაცრებაში, რადგანაც არ გვაქვს ჯერ-ჯერობით შესაძლებლობა შევაფასოთ, რამდენად ეფექტიანად მუშაობს საბჭო და როგორ აღასრულებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



## თემის კვლევის გაგრძელება

მოცემული კვლევითი საკითხი სრულად არ ამოწურულა, რომელზეც ყურადღება გამახვილებული გვაქვს კვლევასთან დაკავშირებული პრობლემების საკითხის ქვეშ. ჩვენ გვსურდა ჩაგვეტარებინა კვლევა სხვა სექტორების მიმართებითაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით სრულად არ არის განთავსებული ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზის ვებ-გვერდზე ყველა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც რეალურად ფართო კვლევისთვის შემაფერხებელი ფაქტორია. ასევე განთავსებულია მხოლოდ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგებები, რაც ქმნის ინფორმაციის ნაკლებობას და კვლევას ნაკლებად შესაძარისს ხდის.

ამ პრობლემის გათვალისწინებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია უფრო ფართო კვლევის ჩატარება, რაც გამოიხატება უფრო მეტი სექტორის მიმოხილვაში და შესაძარისად გრძელვადიანი ფინანსური ინფორმაციის წარდგენაში.

გარდა ამ საკითხისა, შესაძლებელია ეს მონაცემები გამოყენებული იქნეს სხვა კვლევებისთვის. ასე მაგალითად, ერთიანი ფინანსური მონაცემთა ბაზის დახვეწის შემდეგ, შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა სექტორის სრულფასოვანი ანალიზი, რომელშიც მოყვანილი ციფრები იქნება სარწმუნო და შესაბამისად დასკვნაც უფრო ობიექტური და რელევანტური იქნება.

გარდა ამისა, შეუძლებელია შეფასება პირდაპირი კორელაციის კანონსა და ეკონომიკის ზრდას შორის. ჩვენ მიმოვიხილეთ საერთაშორისო პრაქტიკა და თეორიულად ვიმსჯელებთ, თუ რა სარგებელს მოუტანს ეკონომიკას, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება შესაძლებელი დასკვნების ფორმირება, მაგალითად განვითარდა თუ არა საფონდო ბაზარი საქართველოში, რამაც უნდა შეამციროს ბიზნეს სუბიექტებისთვის დაკრედიტების დანახარჯები. ასევე ასტიმულირა თუ არა მოცემულმა კანონმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ბიზნესის გამჭირვალობამ გაზარდა თუ არა უცხოელი პარტნიორების დაინტერესება საქართველოსადმი.

შესაძლებელი იქნება კვლევის ჩატარება და სახელმწიფო უწყებების გამოკითხვა, რამდენად იყენებენ ისინი ერთიან ფინანსურ მონაცემთა ბაზას და ამის შედეგად გაიზარდა თუ არა მათი ეფექტიანობა.

## ბიბლიოგრაფია

- Stere MIHAI, Mihaela IONASCU and Ion IONASCU. 2014. Economic benefits of International Financial Reporting standards (IFRS) adoption in Romania: Has The cost of equity capital decreased ?; Quinn School of Business, University College, Dublin, Ireland
- Kim, Woo Gon and Baker Ayoun. 2005. Ratio Analysis for the Hospitality Industry: A cross Sector Comparison of Financial Trends in the Lodging, Restaurant, Airline and Amusement Sectors. Journal of Hospitality Financial Management, <https://scholarworks.umass.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1205&context=jhfm>  
(18.03.2019)

- Grant Thornton. 2018. Doing business in Georgia 2018 Commercial guide for investors. Grant Thornton International, [https://www.grantthornton.ge/globalassets/1.-member-firms/bronze/georgia/doing-business-in-georgia\\_2018.pdf](https://www.grantthornton.ge/globalassets/1.-member-firms/bronze/georgia/doing-business-in-georgia_2018.pdf) (04.04.2019)
- Isaac Gonzalo Arias Esteban, Jairo Godoy, Adriana Garcia and Wanda Montero. 2013. The control of transfer pricing manipulation in Latin America and the Caribbean, [https://www.taxcompact.net/documents/ITC\\_2013-05\\_Control-of-transfer-pricing-manipulation-in-LAC.pdf](https://www.taxcompact.net/documents/ITC_2013-05_Control-of-transfer-pricing-manipulation-in-LAC.pdf) (04.04.2019)
- Vanparys, Stujn. 2017-2018. The Relationship between IFRS and development in developing countries. Master of Science in Business Economics. University of GENT.
- S. P. Kothari. 2000. THE ROLE OF FINANCIAL REPORTING IN REDUCING FINANCIAL RISKS IN THE MARKE. Sloan School of Management, Massachusetts Institute of Technology
- Ashbaugh Hollis and Terry D. Warfield. 2003. Audits as a Corporate Governance Mechanism: Evidence from the German Market. University of Wisconsin–Madison
- Financial Sector Assessment Program. 2015. Georgia, International Monetary Fund Report. <https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2015/cr1510.pdf> (10.03.2019)
- The World Bank. 2019. Doing business 2019 ranking, <http://www.doingbusiness.org/en/rankings> (18.04.2019)
- Bloomberg Finance L.P. Bloomberg Information. <https://www.bloomberg.com/professional/solution/bloomberg-terminal/>, (22.04.2019)
- Bureau Van Dijk. A moody's analytic company. Amadeus Information. <https://www.bvdinfo.com/en-gb/our-products/data/international/amadeus> (22.04.2019)
- Royalty Range . Royalty Range Information. <https://www.royaltyrange.com/home/royalty-rate-database/global-provider> (22.04.2019)

- ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება. ASSOCIATION AGENDA BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA 2017-2020  
<http://www.parliament.ge/uploads/other/78/78447.pdf> (24.04.2019)
- კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. კაპიტალის ბაზრის განვითარების და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტი.  
[http://www.economy.ge/uploads/meniu\\_publicaciebi/ouer/kapitalis\\_bazris\\_ganvitarebis\\_strategia.pdf](http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf) (24.04.2019)
- ჭიოტაშვილი, დავითი და ნათია ჟოჟუაშვილი. 2017. საინვესტიციო პორტფელის ანალიზი და პრობლემები საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიაში. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საბაზრო კონკურენცია საქართველოში. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. <http://www.geostat.ge/?action=page&pid=2230&lang=geo> (15.04.2019)
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში. <http://geostat.ge/?action=page&pid=118&lang=geo> (15.04.2019)
- აწარმოე საქართველოში. ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები: <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90> (15.04.2019)
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ტურიზმის განვითარების დინამიკა საქართველოში.  
<https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/> (25.04.2019)

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოკლე ინფორმაცია ბლუმბერგის სისტემის შესაძლებლობებზე:

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/Blumberg.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Blumberg.pdf) (08.04.2019)

ბულალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების საბჭო, ქართულენოვანი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები: <https://www.saras.gov.ge/ka/lfrs>